ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 18 აპრილი, 2022 №76 (8854) ფასი: 80 თეთრი

## ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულებს აკო ჭელიძეს 17, გიორგი კავილაძეს კი 16 წელი მიესაჯათ

გვ.5

# „ივანიშვილი რუსეთს არ დაეხმარება და თავის ქონებას რისკის ქვეშ არ დააყენებს“

Wikipedia Commons

## თორნიკე შარაშენიძე: „ევროკავშირში სწრაფად თუ შევალთ, ქვეყანა დაიცლება, ეკონომიკურად გაძლიერებული უნდა შევიდეთ“

## „რუსეთ-უკრაინის ომი, ალბათ, წლის ბოლომდე არ დამთავრდება“

გვ.2

## „ძალიან მძიმე დღეები გველოდება უკრაინაში“

სოსო ცინცაძე: „ქართულ ოცნებას“ შეეძლო მარგველაშვილი ყოფილიყო მისი იდეოლოგი, დღეს მთავარი მოწინააღმდეგეა“

გვ.3

ანზორ აბრალავა: „რუსეთმა, პირველ რიგში, ომი გამოუცხადა თავის თავს“

გვ.4

## „ნაცმოძრაობა ლენინის თეორიას მისდევს“

გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილი: „არ მაინტერესებს, ნაციონალური მოძრაობის რომელი პროვოკატორი, ვინ რას აკეთებს და აცხადებს“

## შალვა პაპუაშვილი: „უკრაინაში არაადამიანური აგრესია ხდება“

გვ.3

## რატომ გააღიზიანა ნიკა გვარამია კელი დეგნანის განცხადებამ

გვ.2



გვ.5

## „არ შემიძლია, შვილებს და ხალხს თვალებში ვუყურო“

გორში ბუღალტერ ლეილა წკრიალაშვილს პატიმრობა შეუფარდეს

**4** პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გურჯაანში ნონეშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო პროცესი დაათვალიერა

**5** ქართველმა ქალმა ბერძენ დამსაქმებელს 133.000 ევროს ფული და ძვირფასეულობა მოპარა

**3** „ოცნების“ ლიდერები საჯარო მოხელეებს „ლაიქებს“ უთვლიან

**6** დმიტრიმ მარიუპოლიდან ცივ წყალში 4 კმ გაცურა მას არყით და ბორშჩით გაუმასპინძლდნენ

1993230720223

# „ივანიშვილი რუსეთს არ დაეხმარება და თავის ქონებას რისკის ქვეშ არ დააყენებს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ევროკავშირში სწრაფად თუ შევალთ, ქვეყანა დაიცლება, ეკონომიკურად გაძლიერებული უნდა შევიდეთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

### „რუსეთ-უკრაინის ომი, ალბათ, წლის ბოლომდე არ დამთავრდება“

***– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? პარლამენტის თავმჯდომარე ვიზიტით უკრაინაში იმყოფებოდა. ეს პროცესი ყველამ დადებითად შეაფასა. თვლიან, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება და ახლა ბუტიაობის და კინკლაობის დრო არ არისო. რას იტყვით თქვენ?***

– სიმართლე გითხრათ, მე თავიდან ძალიან გამიკვირდა, პაპუაშვილმა რომ უარი თქვა წასვლაზე. დიდი ხანია ვიცნობ მას და ის თანმიმდევრული ადამიანია. ნამდვილად კარგია, რომ გადაწყვიტეს და წავიდნენ. რაც არ უნდა მიუღებელი რაღაცები ეთქვათ უკრაინელებს, ცხადია, მიუღებელი იყო ბრალდება კონტრაბანდის დაბრალებაზე, ეს ჩვენ უნდა მოვითმინოთ როგორმე. ეს ქვეყანა ომშია და ყველაფერზე გაცილებით მწვავედ რეაგირებენ.

***– ითქვა ისიც, რომ უკრაინის ხელისუფლება მიზანმიმართულად შეიყვანეს შეცდომაშიო.***

– არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო განგებ შეგდებული პროვოკაცია, მაგალითად, მოსკოვიდან. ასეთი მწვავე რეაგირება, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ უკრაინის ყოფნა-არყოფნას, არამედ ჩვენს ყოფნა-არყოფნასაც. აქედან გამომდინარე, გაბუტული ვარ, შენ რაღაც თქვი და ჩემზე და მე არ ჩამოვალ, ეს არასწორი მიდგომაა, ასე არ შეიძლება.

***– რას იტყვით ოპოზიციის ვიზიტზე? ვისმენთ შეფასებებს, რომ ნაციონალური მოძრაობა გაიპარა, ხელისუფლებისთვის რომ დაესწრო იქ ჩასვლაო.***

– რაც შეეხება ოპოზიციის ჩასვლა-არჩასვლას, სიმართლე გითხრა, ვერაფერი ვერ გავიგე, რას ხლართავენ და არც მაინტერესებს. მე მათ ვერ ვეწევი ინტრიგებში, ვინ როდის მიდის და როდის მოდის, რთული გასარკვევია.

***– საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი გაყვა პარლამენტის თავმჯდომარეს, ხოლო ნაციონალებმა უარი თქვეს და წავიდნენ ცალკე.***

– კი, გასაგებია, მაგრამ ეს სახიფათო თამაშია ნაციონალების მხრიდან. ამით კიდევ ერთხელ თავის თავს ცალკე აყენებენ, ეს ფაქტია. „ოცნებას“ სწორედ ეს სურს, ნაცმოძრაობის გარიყვა ოპოზიციისგან. ნაცმოძრაობაც ხელს უწყობს ამაში.

***– რამდენად დადებითად აისახება ეს ყველაფერი ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, რამდენად გამოსწორდება სიტუაცია? ელჩის დაბრუნებაც ხომ არ მოხდება, რას ელოდებით?***

– წესით, უნდა მოხდეს, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, კულებას განცხადებებს თუ შევაფასებთ, წესით, ვითარება ლაგდება. იმედია, აღარ მოვისმენთ ისეთ განცხადებებს, რომ თურმე საქართველო ეხმარება რუსეთს, ეს არ ჯდება არანაირ ლოგიკაში. მაგალითად, რატომ უნდა დააყენოს ბიძინა ივანიშვილმა თავისი ქონების და თავისი ოჯახის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი რუსეთის დახმარების გამო. არ არის ასე მარტივად საქმე, რომ აი, ბიძინა ივანიშვილი ემსახურება რუსეთს. ის ძალიან ფრთხილი ადამიანია და ამას არ იზამს. მისი ფულის დიდი ნაწილი, როგორც მე ვიცი, სწორედ დასავლეთშია განლაგებული. შესაბამისად, რისკის ქვეშ რატომ დააყენებს თავის ოჯახს და თავის ქონებას?! ამდენი ხანია ასე ფრთხილად თამაშობს და არ მგონია, ახლა შეცვალოს პოზიციები. გარდა ამისა, რუსეთს უზარმაზარი პარტნიორი ყავს ჩინეთის სახით, რომელსაც არ ეშინია არანაირი სანქციების და ნებისმიერ რამეს მიაწვდის რუსეთს. ამიტომ ეს ბრალდებები ჩვენი ხელისუფლების მისამართით, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

***– ითქვა ისიც, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნამაც იქონია გავლენა, სერიოზულად დაუქნიეს თითი ჩვენს ხელისუფლებასო. ამაზე რას იტყვით?***

– მე არ ვიცი რამდენად შეშინდნენ უშუალოდ ამის გამო. თუმცა კარგია, რომ უკრაინასთან მიმართებაში პოზიციები გამოიკვეთა და ვიზიტიც შედგა.

***– ბატონო თორნიკე, გასული კვირის დასაწყისში, საქართველომ კითხვარი მიიღო ევროკავშირისგან. რა მოლოდინი გაქვთ ამ კუთხით, რამდენად დაჩქარდება საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია და როგორ გავივლით ამ გზას?***

– ერთია კითხვარის შევსება, მაგრამ საქართველო, საბწუხაროდ, ვერ ეწევა სტანდარტებით ევროკავშირს. განსაკუთრებით სახიფათო რაც არის, ჩვენ ეკონომიკური განვითარების კუთხით ძალიან ჩამოვრჩებით.

***– სახიფათო რატომ არის?***

– ერთი მხრივ, კი, ძალიან მინდა მიგვიღონ ევროკავშირში, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ რომ ევროკავშირში ვიქნებით, ეს კატასტროფულად გაზრდის მიგრაციას. საქართველოდან გავლენ, დაიცლება ქვეყანა. რაღაცნაირად, ჩვენ ეკონომიკურად გაძლიერებული უნდა შევიდეთ ევროკავშირში, იმისათვის, რომ ქვეყანა არ დაიცალოს. როგორც ეს გააკეთა პოლონეთმა და გააკეთა ძალიან კარგად. მან ისარგებლა ძალიან კარგად ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესით, ამ პროცესის დროს მიიღო ძალიან დიდი ფული, ეს ფული, ცხადია, მოხმარდა პოლონეთის ეკონომიკას და მათ ქვეყნის დაცლის საფრთხე არ დაუდგათ. ამიტომ, ევროკავშირში სწრაფად შესვლა კი არ უნდა იყოს ჩვენი თვითმიზანი, ხაზს ვუსვამ, სწრაფად შესვლა, თორემ ისე აუცილებლად უნდა შევიდეთ, ოღონდ უნდა მოვემზადოთ ამისთვის და ისე უნდა შევიდეთ. უნდა მოვმაგრდეთ ეკონომიკურად. ინტეგრაციის პროცესი უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური გაძლიერებისთვის, ამის საშუალება არსებობს და ესაა ძალიან მნიშვნელოვანი. დარწმუნებული ვარ, ევროკავშირი შეუწყობს ხელს ჩვენს ეკონომიკურ გაძლიერებას, რომ ფეხზე მყარად დადგეს ჩვენი ქვეყანა, ვიდრე გაწევრიანებაზე წავა საუბარი.

***– მაინც რა დრო დასჭირდება ამ პროცესს, როგორ ფიქრობთ? ბევრი წელი?***

– ბევრი არა, მაგრამ წლები დასჭირდება, რომ რაღაც დონეზე ქვეყანა ამოიქაჩოს ეკონომიკურად. რაღაცნაირად უნდა დავდგეთ ფეხზე.

***– ბატონო თორნიკე, რაც შეეხება უშუალოდ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს და საომარ მოქმედებებს. ძნელია წინასწარი პროგნოზების კეთება, მაგრამ მაინც რა მოლოდინები გაქვთ, როდის დასრულდება ეს ყველაფერი? დასავლეთიც მეტად გააქტიურდა, იარაღს აწვდიან უკრაინას. რას ელოდებით?***

– ომი, ალბათ, არ დასრულდება საკმაოდ დიდხანს, სამწუხაროდ. რუსეთი ისე არ წავა უკრაინიდან, სანამ არ მოიპოვებს გარკვეული ტერიტორიების აღიარებას. ცხადია, უკრაინა არ აპირებს აღიაროს რაიმე ტერიტორიის ანექსია. ყირიმზე რაღაც კომპრომისულ ვარიანტზე მიდის საუბარი, მაგრამ დანარჩენზე არ არის საუბარი. მარტო ყირიმით კი, ცხადია, არ წავა რუსეთი უკრაინიდან. შესაბამისად, მოკლე დროში მე ვერ ვხედავ ომის დასრულების რაიმე საფუძველს. სამწუხაროდ, ეს ომი აჩანაგებს უკრაინას, ომი მის ტერიტორიაზე მიდის. ამავე დროს, რუსეთი ზარალს ნახულობს როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად. მორალურად უკრაინა გამარჯვებულია, რუსეთი დამარცხებული. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ამ ომს ექნება ძალიან შორს მიმავალი შედეგები მსოფლიოში ძალთა ბალანსისთვის, რადგან, ცხადია, ეს ომი ასუსტებს რუსეთს. თუ როგორი იქნება მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ჯერჯერობით რთულია ამაზე საუბარი, თუმცა რუსეთი იქნება გაცილებით სუსტი, ვიდრე იყო აქამდე.

***– მაინც რამდენ ხანს გასტანს საომარი მოქმედებები უკრაინაში?***

– სადღაც წლის ბოლომდე, მე ასე მგონია.

# რატომ გააღიზიანა ნიკა გვარამია კელი დეგნანის განცხადებამ

ქვეყანაში, სადაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნის თანახმადაც მიმდინარეობს ჟურნალისტებზე ნადირობა, ბულინგი და დამცირება, ამერიკის ელჩის ამგვარი განცხადება შესაძლოა აღმოჩნდეს მედიაზე ძალადობის და მასზე ზეწოლის ახალი და კიდევ უფრო ძლიერი ტალღის ტრიგერი.

ამის შესახებ „მთავარი არხის“ დამფუძნებელი ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში წერს.

მისივე თქმით, ელჩის განცხადება „ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების სტანდარტებს“.

„როგორც რადიო თავისუფლება გვამცნობს, აშშ ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა შემდეგი:

„ძალიან დადებითი მომენტია, რომ დელეგაცია მიდის და რომ ეს მრავალპარტიული ძალიან დადებითი [ვიდეო] ზარი ჰქონდა რადას სპიკერთან, ვფიქრობ, იმ გაუგებრობის, რომელიც ზოგჯერ ხდება, მედიის გამო, პირისპირ საუბრის უქონლობის გამო, გადაჭრის საუკეთესო გზა არის პირისპირ საუბარი“.

ქვეყანაში, სადაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნის თანახმადაც მიმდინარეობს ჟურნალისტებზე ნადირობა, ბულინგი და დამცირება, ამერიკის ელჩის ამგვარი განცხადება შესაძლოა აღმოჩნდეს მედიაზე ძალადობის და მასზე ზეწოლის ახალი და კიდევ უფრო ძლიერი ტალღის ტრიგერი.

ჩვენ უნდა აგვიხსნან ამ განცხადების არსი:

რომელი მედია იგულისხმება (ქართული, უკრაინული თუ ორივე);

თუ ქართული, რომელი – სამთავრობო თუ ოპოზიციური;

თუ ოპოზიციური, კონკრეტულად რომელი;

კონკრეტულად, რა არის მედიის ბრალი: „ქართული ოცნების“ ლაივში გაკეთებული განცხადებები მოიგონა, უკრაინელების განცხადებები მოიგონა, ხელი შეუშალა უკრაინულ მთავრობასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის პირდაპირ კომუნიკაციას?

ან განიმარტოს, რომ ამგვარი განცხადება არ გაკეთებულა, ან გულისხმობდა სხვა რამეს, ან კონტექსტიდან ამოღებამ შეცვალა განცხადების შინაარსი.

ან განიმარტოს, რომ ელჩმა შეცდომა დაუშვა და წუხს ამის გამო;

ვიდრე ამ შეკითხვებზე პასუხებს და მტკიცებულებებს ვერ მივიღებთ, ვწუხვარ, მაგრამ ქალბატონი ელჩის განცხადებას განვიხილავ შიშველ სპეკულაციად და დაუსაბუთებელ ბრალდებად, რისი მიზანიც ჩემთვის უცნობია.

ამ წუთისთვის რადიო თავისუფლების მიერ გავრცელებული აშშ ელჩის განცხადება ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების და მედიის საქმიანობის ამერიკულ და ქართულ სტანდარტებს და ქმნის იმ საფრთხეების გაზრდის მაღალ რისკებს, რაც ამერიკისვე სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნით, საქართველოში ისედაც უკიდურესად სახიფათო კონდიციაშია. იმედს ვიტოვებ, შეკითხვები არ დარჩება უპასუხოდ“ – წერს ნიკა გვარამია.

# გიორგი მარგველაშვილი: „პრეზიდენტები ვდგავართ უკრაინელი ხალხის გვერდით“

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, უკრაინაში მისი ჩასვლის საკითხი მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად გადაწყვიტა.

როგორც მარგველაშვილმა განაცხადა, ამით სურდათ ეჩვენებინათ უკრაინელი ხალხისთვის, რომ პრეზიდენტები მათ გვერდით დგანან.

– ჩვენ უკრაინაში ჩამოვედით იმისთვის, რომ ქართველი ხალხის, ფაქტობრივად, საქართველოს ყველა მოქალაქის სურვილი ავასრულოთ, რომ უკრაინაში წარმოდგენილი იყოს მაღალი დონის წარმომადგენლობა, კიდევ ერთხელ აჩვენოს უკრაინელ ხალხს, რომ ჩვენ მათ გვერდით ვდგავართ, კიდევ ერთხელ აჩვენოს მებრძოლ ქართველებს, რომ ჩვენ მათ გვერდით ვდგავართ.

ეს გრძნობა იყო ის, რაც გარკვეულ ხინჯად მქონდა მეც, იგივე ემოცია ჰქონდა პრეზიდენტ სააკაშვილს და ჩვენ ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ აქ ჩამოვსულიყავით, გვეჩვენებინა უკრაინელი ხალხისთვის, რომ პრეზიდენტები ვდგავართ უკრაინელი ხალხის გვერდით და რომ ეს ერთად დგომა უცვლელია, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა „მთავარ არხთან“ საუბრისას.

ცნობისთვის, გიორგი მარგველაშვილის გარდა, უკრაინაში იმყოფებიან „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია, ასევე პარტიის წევრები – ეკა ხერხეულიძე და კობა ნაყოფია.

# ფულად გადარიცხვებში რუსეთი მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა

მარტში საქართველოდან ფულად გადარიცხვებში რუსეთი მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა, ეს მაშინ, როდესაც წინა თვეებსა თუ წლებში, ლიდერის პოზიციას იკავებდა.

კერძოდ, მარტში რუსეთში 2.716 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, თებერვალში კი – 6.292 მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება ზოგად მონაცემებს, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2022 წლის მარტში საქართველოდან უცხოეთში ჯამში, 23. 983 მლნ აშშ დოლარი გადაირიცხა, ხოლო თებერვალში – 26.744 მლნ აშშ დოლარი.

ამასთან, საქართველოდან მარტში გადარიცხული თანხის მოცულობით, ამჯერად თურქეთი ლიდერობს, რომელსაც რუსეთი და მესამე ადგილზე უკრაინა მოსდევენ.

გთავაზობთ ტოპ -10 ქვეყანას, სადაც გასულ თვეში საქართველოდან ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი განხორციელდა.

- თურქეთი – 5.1 მლნ აშშ დოლარი
- რუსეთის ფედერაცია – 2.716 მლნ აშშ დოლარი
- უკრაინა – 2.377 მლნ აშშ დოლარი
- საბერძნეთი – 1.659 მლნ აშშ დოლარი
- აზერბაიჯანი – 1.651 მლნ აშშ დოლარი
- პოლონეთი – 1.420 მლნ აშშ დოლარი
- სომხეთი – 942.8 ათასი აშშ დოლარი
- აშშ – 856.9 ათასი აშშ დოლარი
- უზბეკეთი – 780.5 ათასი აშშ დოლარი
- ყაზახეთი – 728.7 ათასი აშშ დოლარი

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ძალიან მძიმე დღეები გველოდება უკრაინაში“

## სოსო ცინცაძე: „ქართულ ოცნებას“ შეეძლო მარგველაშვილი ყოფილიყო მისი იდეოლოგი, დღეს მთავარი მოწინააღმდეგეა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.**

***– ბატონო სოსო, უკრაინაში მყოფი პარლამენტის დელეგაცია დაბრუნდა. როგორც ოპოზიციონერი დეპუტატები აცხადებენ, მაგალითად, ანა ნაცვლიშვილი, სტეფანჩუკმა გვითხრა, სანქციებზე იმსჯელეთ. შეიძლება ეს საკითხი კვლავ დადგეს დღის წესრიგში?***

– რაც შეეხება ვიზიტს, ეს იყო საჭიროზე საჭირო ვიზიტი. რა თქმა უნდა, ამ ერთი ზრდილობიანი, სამძიმრის ვიზიტით უცებ არ მოხდება ურთიერთობების ახალ ჭრილში გადასვლა, მაგრამ ეს იყო უმნიშვნელოვანესი ვიზიტი.

რაც შეეხება სანქციებს, დიახ, ეს საკითხი კვლავ გააქტიურდება. თუმცა, ვფიქრობ, ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, დარჩიაშვილმა უკრაინელ კოლეგა კულებასთან გამართული შეხვედრის შემდეგ რაც თქვა, იმის იქით არაფერი არ იქნება. მაქსიმუმი რაც იქნება, ის არის, რომ საქართველო არ იქცეს შავ ხვრელად, კონტრაბანდის ხვრელად. ეს არის ახლა მთავარი ამოცანა. ეს იქნება ის მაქსიმუმი და ამით მოუწევს უკრაინას დაკმაყოფილება.

***– თვითონ ვიზიტზე რას იტყვით?***

– იყო აუცილებელზე აუცილებელი ვიზიტი, რომელიც უკვე არც ერთი დღით აღარ ითმენდა. ამ ვიზიტის რამდენიმე დღითაც კი გადადება აზიანებდა ჩვენს ურთიერთობებს ყველა დონეზე. რასაკვირველია, პირველ რიგში დიპლომატიურ დონეზე. უკვე არავინ იცის, ერთი კვირის შემდეგ რა მდგომარეობა იქნება უკრაინაში. როგორც ჩანს, პუტინი მართლაც ემზადება ცხრა მაისისთვის. როგორც ჩანს, მაქსიმუმი არის ხარკოვის აღება, მინიმუმი – მარიუპოლის. ძალიან მძიმე დღეები გველოდება წინ უკრაინაში, ამიტომ, არაფრით არ შეიძლებოდა ვიზიტის გადადება.

***– პარლამენტის დელეგაციის ვიზიტს დაასწრეს ნაციონალებმა, რომელთა შემადგენლობაშიც იყო ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილი. გაგიკვირდათ?***

– არა, არ გამკვირვებია.

***– რატომ?***

– მარგველაშვილი, უხეშად რომ გითხრათ, იდეების ადამიანია. მარგველაშვილის იდეებისა და ფასეულობების ადამიანი ვერ იტანს, ვერ ეგუება მოტყუებას, გადაგდებას. როგორც ჩანს, ის დღეს სწორედ ასე მოტყუებულად მიიჩნევს თავს.

***– ვისი მხრიდან?***

– „ქართული ოცნების“ მხრიდან. „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის იდეალებს, იმ ღირებულებებს უღალატა, რომლისთვისაც, დარწმუნებული ვარ, გიორგი მარგველაშვილი იყო იქ.

მარგველაშვილი იყო სააკაშვილის ყველაზე ავტორიტეტული, ყველაზე კვალიფიციური, პირუთვნელი კრიტიკოსი. ამიტომ, ძალიან დიდი წვლილი აქვს „ქართული ოცნების“ იმ გამარჯვებაში შეტანილი. მარგველაშვილი არის დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ადამიანი. მას არ უღალატია თავისი ფასეულობებისთვის. ამიტომ არ მიკვირს მისი პოზიცია. როგორც ჩანს, დღევანდელი რეალობა, „ქართული ოცნების“ ქცევა, მისთვის შინაგანი, მორალური ტრაგედიაა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, „ქართულ ოცნებას“ შეეძლო მარგველაშვილი ყოფილიყო მისი იდეოლოგი, მაგრამ ის დღეს მთავარი მოწინააღმდეგეა.

***– სააკაშვილის საკითხს რომ დავუბრუნდეთ. პრეზიდენტ მარგველაშვილს მისი შეწყალება შეეძლო, მაგრამ არ შეიწყალა. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– ჩემი მოსაზრებით, არ გამოვრიცხავ, რომ გარდამტეხი როლი იმ სასამართლო პროცესებმა იქონია, რაც გადის ღია ეთერში. მარგველაშვილს როდესაც შეწყალების დისკრეცია ჰქონდა, სასამართლო პროცესები არ გამართულა და ეს ყველაფერი ასეთი ღია და საჯარო არ ყოფილა. ემოციით მსჯელობა უნდა დასრულდეს, მთავარი რაციონალიზმი, მტკიცებულებებია. როდესაც საქმეს პირდაპირ ჰქვია „პიჯაკების საქმე“, ამით ყველაფერი ნათქვამია.

ვერ გეტყვით, დღეს რომ მარგველაშვილი პრეზიდენტი იყოს, შეიწყალებდა თუ არ შეიწყალებდა, მაგრამ როგორც ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ადამიანი, ალბათ, ამ სასამართლო პროცესების შემხედვარე, ბევრ რამეზე ფიქრობს. ვერასოდეს ვერ შედგება სახელმწიფო, თუ მას არ აქვს მიუკერძოებელი, სამართლიანი სასამართლო. ამიტომაც არის მთელი დასავლეთის, ევროკავშირის, ამერიკის ყურადღება სასამართლოზე მიმართული და ასე დაჟინებით ამიტომაც გვთხოვენ სასამართლო სისტემის რეალურ რეფორმას.

„ოცნებას“ შეიძლება ეს სასამართლო ბედის ირონიასავით შემოუბრუნდეს, როგორც საკაშვილს შემოუბრუნდა. ამაზე უნდა დაფიქრდნენ. სამართლიანი სასამართლო არის თითოეული ადამიანის, ვინც არ უნდა იყოს ის, გარანტორი.

# შალვა პაპუაშვილი: „უკრაინაში არაადამიანური აგრესია ხდება“

– ქართველები ის ხალხია, ვისაც ყველაზე უკეთ ესმის, რას გრძნობენ უკრაინელები, უკრაინის მთავრობა და რა მამაცია უკრაინელი ხალხი, მთავრობა, რომელიც ასეთ აგრესიას წინ აღუდგა.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ უკრაინის ქალაქ ბუჩაში განაცხადა, სადაც უკრაინელ კოლეგასთან, რუსლან სტეფანჩუკთან და საპარლამენტო დელეგაციასთან იმყოფებოდა.

შალვა პაპუაშვილის თქმით, ის, რაც დელეგაციამ ირპენსა და ბუჩაში ნახა, არის არაადამიანური აგრესია, რომელსაც საზღვრები არ აქვს.

– მე აქ ვარ, რომ კიდევ ერთხელ გამოვხატო ქართველი ხალხის სოლიდარობა უკრაინის მიმართ, მამაცი უკრაინელი ჯარისკაცებისა და ხალხის მიმართ.

რასაც ვხედავთ ირპენში და რაც ვნახეთ ბუჩაში, გვაჩვენებს აგრესიას, რომელსაც არ აქვს საზღვრები, ეს ხდება 21-ე საუკუნეში და ეს აგრესია არის არაადამიანური. ეს, რა თქმა უნდა, გვახსენებს იმ კადრებსა და იმ შეგრძნებებს, რომლებიც 2008 წელს საქართველოში, კერძოდ, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ხდებოდა.

რა თქმა უნდა, ქართველები ის ხალხია, ვისაც ყველაზე უკეთ ესმის, რას გრძნობენ უკრაინელები, უკრაინის მთავრობა და რა მამაცია უკრაინელი ხალხი, მთავრობა, რომელიც ასეთ აგრესიას წინ აღუდგა, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

მისივე თქმით, პასუხი ამ აგრესიასა და სისასტიკეზე უნდა იყოს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ კანონისმიერი.

– შესაბამისად, საქართველომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში მხარი დაუჭირა აპლიკაციას. ჩვენც თვალს ვადევნებთ და ვაკვირდებით, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში სწრაფად მიიწევს წინ ომის დანაშაულის გამოძიება, რომელიც აქ არის ჩადენილი.

ასევე, ეს არის ჩვენი სამწუხარო გამოცდილება და მინდა, გაგიზიაროთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ დანაშაულების დოკუმენტირება. ჩვენ ვხედავთ ირპენშიც და ბუჩაშიც, რომ საერთაშორისო ექსპერტები საფრანგეთიდან მუშაობენ, რათა ყველა ფაქტი კარგად იყოს დოკუმენტირებული ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოსთვის, მათ ჰქონდეთ ყველა საჭირო დოკუმენტი კანონით შესაბამისი პროცედურებისთვის.

მე აქ ვარ საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად და მთელი დელეგაციის სახელით, მინდა, გამოვხატო სოლიდარობა მამაცი უკრაინელი ხალხის, ჯარისკაცების, ხელისუფლების და პირადად ჩემი კოლეგის მიმართ, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დელეგაციაში, ვიცე-სპიკერები არჩილ თალაკვაძე, დავით სერგეენკო, ლევან იოსელიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ბექა ოდიშარია, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების დეპუტატები: ანა ნაცვლიშვილი, ვახტანგ მეგრელიშვილი, ხათუნა სამნიძე და გიორგი ხოჯევანიშვილი შედიან.

# „ოცნების“ ლიდერები საჯარო მოხელეებს „ლაიქებს“ უთვლიან

უნდა აქოს კალაძე, კობახიძე, ღარიბაშვილი, უნდა აძაგონ სააკაშვილი, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა უნდა გადაიზიაროს განცხადებები, უკრაინის წინააღმდეგ.

„ქართული ოცნების“ შიდა სამზარეულო პირდაპირ „შაბათის გუნდის“ ლანგარზე დევს – მმართველი პარტიიდან შიდა მიმოწერების ახალმა პაკეტმა გამოჟონა.

გამომძიებელი ჟურნალისტების ხელშია კობახიძე-ღარიბაშვილის იდეოლოგების მიერ საჯარო მოხელეებისთვის გაცემული ბრძანებები.

„შაბათის ეთერმა“ მინიმუმ 50 ფიგურანტის მიმოწერა მოიპოვა, უკანონოდ გაცემული ბრძანებებით დგინდება, რომ მმართველი პარტია საჯარო მოხელეებს აიძულებს, მათი ნების საწინააღმდეგოდ აქონ და ადიდონ „ქართული ოცნება“.

ხალხს, ვისაც მმართველი პარტია აიძულებს, რომ საჯაროდ სიყვარული აუხსნან, აქონ, ადიდონ, წერონ, რომ მათნაირი კარგი ხელისუფალი საქართველოს არ ღირსებია, მათნაირი ნიჭიერი ლიდერები მსოფლიოში სანთლით საძებარია, ეს ყველაფერი მობეზრდა და „შაბათის ეთერს“ ე.წ. შიდა ჩატების ფოტომასალა გამოუგზავნა.

ამ ყველაფრის გაშიფვრის შედეგად დგინდება, რომ ღარიბაშვილ-კობახიძის გუნდი ვირტუალურ რეალობას ქმნის, რომ თითქოს მათი საქმიანობით ყველა კმაყოფილია – საჯარო მოხელეებს კომენტარების წერის დირექტივას აძლევენ.

მაკა ჩიხლაძის სკანდალური ჟურნალისტური გამოძიებიდან დგინდება ისიც, როგორ უხდიან ამაში ფულს ხალხის ჯიბიდან და როგორი მოჩვენებითია ის მხარდაჭერა და სიყვარული, რომლითაც ვირტუალურ რეალობაში მმართველი პარტია ამაყობს.

ირკვევა, რომ სოციალურ ქსელში ირაკლი ღარიბაშვილის, ირაკლი კობახიძისა და ოცნების სხვა ლიდერების ფოტოსურათების ქვეშ დადებული ქება-დიდება ფულისა და თანამდებობის სანაცვლოდ ხდება.

ყველაფერი, რასაც წერენ, მათი ნაზრევი არ არის.

# ნიკა მელია: „ჩვენი ბიჭები გმირულად, უკომპრომისოდ იბრძვიან ყველგან“

– ქედს ვიხრი ბრძოლის ველზე დაცემული ყველა მებრძოლის გმირობისა და მარადიული ხსოვნის წინაშე. ვიზიარებ მათი ოჯახების ღრმა მწუხარებას!

ამას წერს „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია ფეისბუქში, რითაც უკრაინაში ქართველი მებრძოლების დაღუპვას ეხმაურება.

როგორც მელია აღნიშნავს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, სად იბრძვი თავისუფლებისთვის, ბოროტების დასამარცხებლად.

– დიდი პატივია, ვიდგე იმ ბიჭების გვერდით, ვინც სიცოცხლის ფასად იცავს თავისუფლებას, ვინც უკრაინაში იბრძვის როგორც უკრაინის, ისე საქართველოს თავისუფლებისთვის.

არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, სად იბრძვი თავისუფლებისთვის, ბოროტების დასამარცხებლად – თავისუფლებისთვის ბრძოლა არ ცნობს გრძედებს და განედებს. საამაყო და მისაბაძია ყველა მებრძოლი, რომელიც იბრძვის მტარვალების წინააღმდეგ და მე ნამდვილად მეამაყება დღეს მათ გვერდით დგომა, თავად მმატებს მხნეობას მათი გამხნევება!

ჩვენი ბიჭები გმირულად, უკომპრომისოდ იბრძვიან ყველგან, სადაც კი მძიმე ბრძოლები მიდის, სადაც კი წყდება ომისა და მშვიდობის ბედი, სადაც იწერება ახალი ევროპის, ახალი მსოფლიოს ისტორია.

ეს ისტორია იწერება გმირების სისხლით, მათ შორის, ქართველი გმირების სისხლით!

ქედს ვიხრი ბრძოლის ველზე დაცემული ყველა მებრძოლის გმირობისა და მარადიული ხსოვნის წინაშე. ვიზიარებ მათი ოჯახების ღრმა მწუხარებას! – წერს მელია.

შეგახსენებთ, უკრაინაში 16 აპრილს 3 ქართველი მებრძოლი დაიღუპა. დაღუპულები არიან: ზაზა ბიწაძე, ალიკა ცაავა და არკადი კასრაძე. ასევე დაჭრილია კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი.

უკრაინაში უკვე 9 ქართველი მებრძოლია დაღუპული. ესენი არიან: ნიკა შანავა, დავით მენაბდიშვილი, გია ბერიაშვილი, დავით რატიანი, დავით გობეჯიშვილი, ბახვა ჩიქობავა, არკადი კასრაძე, ზაზა ბიწაძე და ალიკა ცაავა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „არ მაინტერესებს, ნაციონალური მოძრაობის რომელი პროვოკატორი, ვინ რას აკეთებს და აცხადებს“

– მე ჩვენს ხალს ვესაუბრები განვითარებაზე, მშვიდობაზე, სტაბილურობაზე, იმ პრობლემებზე, რომელიც გვაქვს. არ მაინტერესებს, ვინ სად წავიდა, „ნაციონალური მოძრაობის“ რომელი პროვოკატორი, ვინ რას აკეთებს და აცხადებს. ეს არ არის ჩემთვის საინტერესო.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კახეთში, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ის დამანგრეველი შედეგები, რაც მოიტანა აგვისტოს ომმა, ომებმა 90-იან წლებში, მათ შორის, სამოქალაქო ომმა, აღარ განმეორდება.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო დაიცავს ყველა მოქალაქეს და უზრუნველყოფილი იქნება ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა.

– ჩვენ ყველა მოქალაქეს დავიცავთ. ჩვენ დავიცავთ ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას და მშვიდობას. რაც შეეხება კითხვას, ამის თაობაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აქვს კონკრეტული ინფორმაცია და როცა საჭირო იქნება, თუ ჩათვლიან საჭიროდ ამ ინფორმაციის გამჟღავნებას, გეცნობებათ თქვენ და ეცნობება საზოგადოებას, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, დაღუპული მეომრების სახელით სპეკულირება არის უზნეო საქციელი.

– რაც მევალებოდა მე, როგორც ხელისუფალს და მთავრობას, ყველაფერი გავაკეთე. დაწყებული მათი გადმოსვენებიდან, დამთავრებული მათი ღირსეული, სამხედრო პატივით დაკრძალვით. დანარჩენი ყველაფერი არის უბრალოდ სპეკულაციები. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ნაცმოძრაობა ლენინის თეორიას მისდევს“

## ანზორ აბრალავა: „რუსეთმა, პირველ რიგში, ომი გამოუცხადა თავის თავს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ნაცმოძრაობის მიმართ სუს-ში დაწყებულ გამოძიებაზე, ბოლოდროინდელ შიდაპოლიტიკურ დავიდარაბასა და უკრაინაში მიმდინარე ომზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.**

***– 15 აპრილს ცნობილი გახდა, რომ 13 აპრილს სუს-მა დაიწყო გამოძიება ნაცმოძრაობის წევრების მიმართ უკრაინაში მოსალოდნელ შესაძლო პროვოკაციაზე. პროვოკაცია უნდა მომხდარიყო საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უკრაინაში ვიზიტის დროს. დელეგაცია უკრაინაში 15 აპრილს ჩავიდა. ამ ინფორმაციამ ბევრი მითქმა-მოთქმა და უნდობლობა გამოიწვია..***

– პირადად მე ეჭვი არ მიჩნდება და მგონია, რომ პროვოკაცია ნაცმოძრაობის მხრიდან ნამდვილად იგეგმებოდა. ნაცმოძრაობის მიმართ წამოყენებული ბრალდებების მჯერა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ამ ოპოზიციური პარტიისა და მისი გარემოცვის წინანდელი მოქმედებები და განზრახვები.

***– ის ადამიანებიც, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას არ ეკუთვნიან, ამ ინფორმაციას ეჭვით უყურებენ. ზოგი მოზომილ სკეპტიციზმს ამჟღავნებს, ზოგი ამას ბოდვად მიიჩნევს. მათი შეფასებით, ხელისუფლებამ მტკიცებულებების გარეშე აქამდეც ბევრი ცრუ ბრალდება წაუყენა ნაციონალურ მოძრაობას.***

– ნაციონალური მოძრაობა, სააკაშვილის მეთაურობით, წლების განმავლობაში ილტვის ძალაუფლებისკენ. ამ ხალხს არჩევნებით კი არ უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, არამედ – ძალადობრივად. ამის დადგენას განსაკუთრებული მტკიცებულებები არ სჭირდება. დაკვირვებული თვალი და ყური ამას ისედაც ხედავს. ეს ჭორი არ არის. ნაციონალური მოძრაობა წინა წლებშიც ცდილობდა სახელმწიფო გადატრიალებას. ახლაც იგივე ამოცანები აქვთ. ეს მიზანია სახელმწიფო გადატრიალება. შესაძლოა, სამხედრო ან კრიმინალური განხრით. შესაბამისი გამოცდილება დაუგროვდათ. ყველა მათი გეგმა, პროვოკაცია თუ არეულობის მცდელობა, ამაზეა აგებული.

***– საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში შედგა. ამას წინ უძღოდა არასერიოზული კინკლაობა წასვლა-არწასვლაზე, ასევე ვიზიტის ფორმებზე. იმ დროს, როცა რეგიონის უსაფრთხოება და სხვა სფეროები დიდი გამოწვევის წინაშე დგას, ასეთი გამოხდომები წამყვანი პოლიტიკური ძალების მხრიდან რას ნიშნავს?***

– ეს კინკლაობა და არასერიოზულობა კი არა, ბევრად უარესია. მახსენდება ლენინის ლოზუნგი „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად“. რა ჰქვია იმას, როცა ჯერ პანიკას ქმნი იმ საბაბით, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არ მიდის უკრაინაში. მერე, როცა გაირკვა, რომ ის მიდის, ამაზეც ყვირი, შემდეგ საპარლამენტო დელეგაციაში მონაწილეობაზე ამბობ უარს. ამიტომ ვიხსენებ ლენინის ლოზუნგს.

***– რუსეთში ლენინის ეს ლოზუნგი შესრულდა კიდეც.***

– ცხადია. რუსეთმა მიიღო სამოქალაქო ომი და რევოლუცია. პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთში გამოიწვია დიდი ქარტეხილი. ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი სააკაშვილი ხელმძღვანელობენ ლენინისეული რევოლუციის თეორიით. ამათ უნდათ, უკრაინის ომი თავისი ვიწრო ინტერესებისთვის გამოიყენონ და უკრაინის ომი გადააქციონ სამოქალაქო ომად საქართველოში. ეს საჭიროა ხელისუფლებაში მოსასვლელად.

***– ყოველთვის ამბობდით, რომ ისინი რევოლუციისთვის ხალხს ვერ იყოლიებენ. ახალ რა შეიცვალა?***

– ხალხი ახლაც ვერ გამოჰყავთ. ჩაფიქრებულია რევოლუციის იმიტაცია. ხომ ნახეთ, აკერმანიც ჩამოიყვანეს.

***– საუბრობთ 6-8 აპრილს ბაკურიანის სასტუმროში გამართულ ტრენინგზე ნაცმოძრაობისა და კიდევ რამდენიმე პარტიის მონაწილეობით, რომლის ტრენერად სახელდება თქვენ მიერ ნახსენები აკერმანი. განა ტრენინგზე რევოლუციის დაგეგმვა შესაძლებელია?***

– რევოლუციის იმიტაცია უნდათ. ამისთვის დაიქირავეს აკერმანი. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ოპოზიციას დასავლეთის მხარდაჭერა აქვს. მას ჰყავს დაქირავებული პიროვნებები, რომლებიც ეხმარებიან. ნახეთ, რა ტექსტებს ამბობენ: სააკაშვილი გარეთ რომ იყოს, უკრაინას უშველიდაო. წარმოგიდგენიათ? მაგათი ჭკუით, სააკაშვილი შეწყვეტდა ომს! ნაციონალების მიზანია ნებისმიერი გზით ხელისუფლებაში მოსვლა. ამისათვის გამოიყენება ყველანაირი ავანტიურა.

***– საპარლამენტო დელეგაციაში მონაწილეობის უარის ფონზე უკრაინაში გაემგზავრა ნაციონალური მოძრაობის პარტიული წარმომადგენლობა, ასევე – მეოთხე პრეზიდენტი მარგველაშვილი.***

– იარონ, ვინ დაუშლით?! ჩასვლით უბედურება არ ხდება. უბედურება ისაა, რომ თავისი მოქმედებებით სახელმწიფოს ვნებენ. ამათთვის არ არსებობს ცნება „სახელმწიფო“. ნაციონალური მოძრაობის მთელი ტაქტიკა მისი აქტივისტების, მაგალითად, დეკანოიძის ისტერიკებზეა აწყობილი. უკრაინის ხელისუფლებასთანაც ბევრი იმუშავეს.

***– საქართველოს ხელისუფლების გასაშავებლად?***

– დიახ. ბოლოს თვითონ გაშავდნენ. ადრე წარამარა გაჰკიოდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება უნიათოა. რაც სააკაშვილი დააკავეს, ამ ეპითეტს თავი დაანებეს, თუმცა სახელმწიფოს ისევ ძირს უთხრიან. დარწმუნებული ვარ, არაფერი გამოუვათ.

***– რუსეთი განაგრძობს სარაკეტო და საავიაციო დარტყმებს უკრაინის დასახლებულ პუნქტებზე. რას ელით?***

– ეს ომი ხანგრძლივი იქნება. ვუსამძიმრებ დაღუპულების ახლობლებს. განსაკუთრებით, სამწუხაროა დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ადრეც ვთქვი, რომ ომი გადავა რუსეთის ტერიტორიაზე.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ, გენშტაბმა განაცხადეს, რომ იძულებული იქნებიან, დაარტყან რუსეთის ზურგს. ეს არის ლოჯისტიკა – ადგილები, საიდანაც იღებენ საწვავს, იარაღს. ავიაიერიშები, სარაკეტო დარტყმები მომავალში მოსალოდნელია რუსეთში. უკრაინის ტელევიზიებში ისმის აზრი, რომ მთავარი მტერია პუტინი და არა რუსი ხალხი. ვამჩნევთ, რომ პუტინს გარეთაც პრობლემები აქვს და შიგნითაც. თავდაცვის მინისტრ შოიგუს გული მისდის. სამხედრო მაღალჩინოსნები დაპატიმრებული არიან. რუსეთის მიმართ ხშირად გამოიყენება ტერმინი „იმპერია“, „იმპერიული ამბიციები“. როგორც ჩანს, რუსეთს უნდა ტერიტორიები ხალხის გარეშე. ჩვენთან, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც კრემლმა ამ იდეოლოგიით იმოქმედა. ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ასე მარტივად არ არის ყველაფერი. ხალხი არც ისეთი კმაყოფილია, როგორც ჩანს.

***– რუსეთი მორიგ მუქარას ახმოვანებს და არაპროგნოზირებად შედეგს აანონსებს, თუ არ შეწყდება უკრაინისათვის შეიარაღების მიწოდება.***

– ბირთვული დარტყმებით თუ იმუქრება, ეს არც ისე ადვილია. ჩერნობილის ავარიამ რუსეთიც დააზიანა, ისევე, როგორც ევროპა. რადიაციული ფონი ჩვენთანაც იყო. თუ მოსკოვი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ეს მიაყენებს ზიანს რუსეთსაც. უკრაინაში საშინელებაა, მაგრამ თვითონ რუსეთიც ხომ ინგრევა და სუსტდება? ამიტომ ვამბობ, რომ რუსეთმა, პირველ რიგში, ომი გამოუცხადა თავის თავს. ბლიცკრიგი არ გამოუვიდათ. გაირკვა, რომ რუსეთის სამხედრო ელიტა უაღრესად კორუმპირებულია. ასეთი კორუფცია ძნელად წარმოსადგენია.

# მთავრობა თელავში რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან ერთად თელავში, რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო, რომელიც „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს.

ფაქტობრივად დასრულებულია ათზე მეტი შენობის აღდგენა, დაგეგმილია მიმდებარე საფეხმავლო ზოლისა და სკვერის რეაბილიტაცია. პროექტების საერთო ღირებულება 12 მლნ ლარია. ამასთან, ჩატარდა შენობების ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაძლიერების სამუშაოები, გამოიცვალა კარ-ფანჯრები, მოეწყო ტროტუარები, განათება და რეკრეაციული სივრცეები.

პრემიერ-მინისტრის თქმით, „განახლებული რეგიონების“ პროგრამის პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში.

ირაკლი ღარიბაშვილმა თელავში პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“ დაათვალიერა.

ირაკლი ღარიბაშვილი ახმეტაში პროექტებს გაეცნო, პრემიერმა რეაბილიტირებული სკვერი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი დაათვალიერა.

მიმდინარეობს თიანეთი-ახმეტის 30 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 12 მლნ ლარზე მეტია. სამუშაოების დასრულების შემდეგ, თიანეთიდან ახმეტამდე მგზავრობას 1:20 საათის ნაცვლად 30 წუთი დასჭირდება.

აგრეთვე აღსანიშნავია ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვემო ალვანის საავტომობილო გზის 11.7 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სარეაბილიტაციო გზა ერთმანეთთან ახმეტა-თელავი-ბაკურციხისა და თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზებს აკავშირებს. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 12 მილიონ ლარამდეა.

ირაკლი ღარიბაშვილი სოფელ მატანის ცენტრში მდებარე კულტურის სახლის რეაბილიტაციის მიმდინარეობას გაეცნო, რომელიც დასასრულს უახლოვდება.

წლების მანძილზე უფუნქციოდ მიტოვებული შენობის სრული რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1.671.000 ლარით დაფინანსდა. აღსანიშნავია, რომ შენობა გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენდა და მას შემდეგ სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა.

მთავრობის მეთაურის თქმით, კულტურის სახლის აღდგენა სოფლის მოსახლეობის თხოვნით დაიგეგმა და ის სულ მალე მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან ცენტრად იქცევა.

# „ევროკავშირის კითხვარი მაისში შეივსება“

– მთელი მთავრობა, ყველა უწყება, პარლამენტი, ყველა სახელმწიფო შტო არის ჩართული და მე პირადად ვუწევ კოორდინაციას, რათა დროულად და ეფექტიანად შეივსოს ევროკავშირის კითხვარი და გადაეცეს ევროკომისიას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს კახეთში განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს მოხდება მაისში.

– მე ვხელმძღვანელობ იმ კომისიას, რომელიც უკავშირდება ევროინტეგრაციის საკითხებს. უკვე განვიხილეთ ევროკავშირის კითხვართან დაკავშირებული ყველა საკითხი, ეს კითხვარი მივიღეთ 11 აპრილს, ის გადაეცა საგარეო საქმეთა მინისტრს.

მე პირადად ვუწევ კოორდინაციას, რათა დროულად და ეფექტიანად შეივსოს კითხვარი და გადაეცეს ევროკომისიას. ეს მოხდება მაისში, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

# პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გურჯაანში ნონეშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო პროცესი დაათვალიერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გურჯაანში, ნონეშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო პროცესი დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურს განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ მიაწოდა და აღნიშნა, რომ გურჯაანში, ნონეშვილის ქუჩაზე მდებარე 21 შენობისა და ე.წ. „პაპას ბაღის“ და „ბებოს ბაღის“ რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა, პროექტის ღირებულებამ კი 5.5 მილიონი ლარი შეადგინა.

პროგრამით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ჩატარდა შენობების ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაძლიერების სამუშაოები, გამოიცვალა შენობების კარ-ფანჯრები, რაც დადებითად აისახება შენობების გათბობის ხარჯებზე. ასევე, ჩატარდა ქუჩების ტროტუარების, განათების, რეკრეაციული სივრცეების მოწყობის სამუშაოები.

პროგრამის პირველი ეტაპის სამუშაოები კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში დასრულების ეტაპზეა.

პრემიერ-მინისტრი სოფელ ჩუმლაყშიც იმყოფებოდა, სადაც „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტით მოსარგებლე ფერმერის მიერ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამაცივრე მეურნეობა და 5 ჰა-ზე გაშენებული ხილის ბაღი დაათვალიერა.

სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით, შალვა ქართლელიშვილის მიერ აწყობილ სამაცივრე მეურნეობაში 140 ტონამდე ხილის შენახვაა შესაძლებელი და საწარმოში სეზონურად 60 ადამიანია დასაქმებული. ფერმერის თქმით, რომ არა სახელმწიფოს ხელშეწყობა, პროექტი ვერ განხორციელდებოდა – ჯამურმა ინვესტიციამ 1 მლნ ლარი შეადგინა, მათ შორის, 330.000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტია.

პრემიერ-მინისტრის თქმით, სახელმწიფო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს ადგილობრივი ფერმერების ხელშეწყობას, სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით.

სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ საგრანტო პროგრამების ფარგლებში თანადაფინანსებულია 101 შემნახველი და სამაცივრე მეურნეობა, ინვესტიციის ოდენობა 124 მლნ ლარს აღემატება, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება 47,6 ლარს აჭარბებს. ამ 101 საწარმოდან 17 საწარმო კახეთის რეგიონშია, რომელთა საინვესტიციო ღირებულება 16,5 მლნ ლარს აღემატება, მათ შორის სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 7 მლნ ლარს აღემატება.

ირაკლი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიასთან ერთად, ველისციხეში თორნიკე ლომთაძის ღვინის მარანში იმყოფებოდა, რომელიც სახელმწიფო პროგრამა – „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში დაფინანსდა.

თორნიკე ლომთაძის თქმით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე საგრანტო პროგრამით მიღებული დაფინანსებით მარნისთვის სხვადასხვა საჭირო ინვენტარი შეიძინა, რითაც საოჯახო მეურნეობის გაფართოების შესაძლებლობა მიეცა.

მთავრობის მეთაური გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში ურბანული განახლების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

სოფლის ცენტრალურ ნაწილში 60-მდე სახლის, ველისციხის თეატრის წინ მდებარე მოედნისა და ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია, აგრეთვე მიმდებარე პარკის კეთილმოწყობაა დაგეგმილი. მოწესრიგდება გზა, სანიაღვრე სისტემები და მოეწყობა წყლის გამწმენდი ნაგებობა. პროექტი აზიის განვითარების ბანკის 30 მლნ ლარის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

რეაბილიტაციის პროექტი აგრეთვე მოიცავს ველისციხის თეატრის ფასადისა და პირველი სართულის რეკონსტრუქციას. ვასო გოძიაშვილის სახელობის ველისციხის თეატრი 130 წლის ისტორიას ითვლის. ველისციხეში წარმოდგენები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმართებოდა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სოფელ ველისციხეში არსებული ნაგებობები განსაკუთრებული არქიტექტურით გამოირჩევა და მისი განახლებით, კახეთის რეგიონს კიდევ ერთი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებით მდიდარი, ტურისტულად საინტერესო ცენტრი შეემატება, რაც თავის მხრივ, ველისციხის მოსახლეობისთვის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს გააჩენს.

# ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულებს აკო ჭელიძეს 17, გიორგი კავილაძეს კი 16 წელი მიესაჯათ

22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები – აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე – სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

მოსამართლე დავით მგელიაშვილის გადაწყვეტილებით, აკო ჭელიძეს 17 წლით, გიორგი კავილაძეს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

მოსამართლემ აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე დამნაშავედ ცნო ნიკო კვარაცხელიას განზრახ ჯგუფურ მკვლელობასა და ჯგუფურად იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში. მოსამართლის განმარტებით, ჯგუფურობა ნამდვილად იყო და ჭელიძე-კავილაძე ჯგუფურად მოქმედებდნენ.

მგელიაშვილის განცხადებით, ორივე ბრალდებული უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

განაჩენის გამოცხადებას ბრალდებულები არ დასწრებიან. ბრალდებულები სასამართლო განხილვების დროს მუხლების კვალიფიკაციას არ ეთანხმებოდნენ.

კერძოდ, აკო ჭელიძე აღიარებდა, რომ ნიკო კვარაცხელია მან მოკლა, თუმცა, მისივე თქმით, მას თანამზრახველი არც მკვლელობის ნაწილში ჰყოლია და არც იარაღი შეუძენია გიორგი კავილაძესთან ერთად.

რაც შეეხება გიორგი კავილაძეს, ის ორივე მუხლში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ მან მკვლელობის შესახებ წინასწარ არ იცოდა და მისი დანაშაული მხოლოდ მკვლელობის პოლიციელებისთვის შეუტყობინებლობაა.

გიორგი კავილაძის ადვოკატი, გიორგი ტურაზაშვილი მოსამართლის გადაწყვეტილებას თვითნებურს უწოდებს.

კითხვაზე, გაასაჩივრებს თუ არა ის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს, პასუხობს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფთან კონსულტაციის გავლის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

ადვოკატი აცხადებს, რომ ახლა უკვე სააპელაციო სასამართლოს დაანახვებს „სიღრმისეულად სასამართლოს მცდარ განაჩენს“.

– აქ მაღალი ალბათობა და ეჭვია იმისა, რომ თვითნებური გადაწყვეტილებაა პროფესიულად. ეს ევროპული სასამართლოს ტერმინი გახლავთ, ამიტომ მეორე ნაწილში, რომლის განმარტებასაც სასამართლო შეეცადა, რამდენიმე ადგილი იყო ფაქტობრივი, მან ვერ თქვა მიზეზი ჯგუფურ, განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებით. მოყვანილი – 25-ე მუხლი ფორმალური ნაწილია, შინაარსობრივი ნაწილის შედარება ვერ მოხდა. როცა კონსულტაციას გავივლი ჩემ დასაცავ პირთან, მივიღებ დასაბუთებულ განაჩენს, აპელაციის საკითხსაც გადავწყვეტთ. უფრო სიღრმისეულად შევეცდები, ამ განაჩენის სიმცდარე სასამართლოს დავანახო, – განაცხადა ტურაზაშვილმა.

კითხვაზე, თუ რატომ არ დაესწრნენ მსჯავრდებულები განაჩენის გამოცხადებას, ადვოკატი პასუხობს, რომ „დისტანციურ ჩართვაზე ფიქრობდნენ, თუმცა, ეს არ გამოვიდა“

კომენტარი გააკეთა პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა.

მისი თქმით, სასამართლომ დაადასტურა, რომ ნიკო კვარაცხელია არ მოუკლავს ერთ ადამიანს, ის მოკლა ჯგუფმა.

– მისი მკვლელობა ამ პირების მიერ იგეგმებოდა საკმაო ხანი, ხდებოდა თვალთვალი, წინასწარი მომზადება, კვარაცხელიას გადაადგილების მარშრუტების დადგენა და ყოველწუთიერი დევნა, – განაცხადა პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა.

პროკურორის თქმით, ბრალდებულებისთვის გამოტანილი სასჯელი შესაძლოა ვინმეს მკაცრად მოეჩვენოს, თუმცა, ის სამართლიანი და ადეკვატურია იმ მოქმედებისთვის, რომელიც ბრალდებულებმა ჩაიდინეს.

მისივე ინფორმაციით, მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებები საქმეში სხვა რაიმე ფორმით

მონაწილე პირების იდენტიფიცირების და პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

ცნობისთვის, 15 სექტემბერს, თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე, 22 წლის ნიკო კვარაცხელია ცეცხლსასროლი იარაღიდან 10-ზე მეტი გასროლით მოკლეს. აღნიშნულ საქმეზე თითქმის, ერთთვიანი ძებნის შემდეგ, აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე თბილისში, წყნეთში დააკავეს. მათ ნიკო კვარაცხელიას ჯგუფურად განზრახ მკვლელობასა და ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდნენ. აღნიშნულ საქმეზე დაკავებულია ასევე კიდევ ერთი პირი, რომელსაც დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავებიან და მისი საქმე ცალკე წარმოებად მიმდინარეობს.

ნიკო კვარაცხელია ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობდა, ის პლატფორმა ფიდსის დამფუძნებელია.

# კრიპტოვალუტით 700.000 ევრო მიითვისეს

## 11 პირი სასამართლომ დამნაშავედ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორგანიზებული ჯგუფის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების, პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე 11 პირი დამნაშავედ ცნო.

უწყების ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ისრაელის მოქალაქემ შექმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა უკანონოდ მოპოვებული პერსონალური მონაცემების გამოყენებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლება და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია.

აღნიშნული მიზნით იგი დაუკავშირდა საქართველოს ორ მოქალაქეს, რომლებთან ერთად ქ.თბილისში მოაწყო ე.წ. „ქოლცენტრი“. აღნიშნულმა პირებმა, ჯგუფის საქმიანობაში ეტაპობრივად, უცხო ენების მცოდნე პირები ჩართეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, უკანონოდ მოპოვებული პერსონალური მონაცემების გამოყენებით, სისტემატიურად უკავშირდებოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და სთავაზობდნენ კრიპტოვალუტის უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენას.

დაინტერესების შემთხვევაში მათ დისტანციურად არეგისტრირებდნენ შესაბამის ვებგვერდზე, რის შემდგომაც მათივე სახელით ახორციელებდნენ კრიპტოვალუტის შეძენას.

შედეგად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლნენ უცხო ქვეყნების, მათ შორის გერმანიის, ავსტრიის, ჩინეთის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის ათეულობით მოქალაქის კუთვნილ, დიდი ოდენობით ფულად თანხებს, ჯამში 700.300 ევროს და 4.800 აშშ დოლარს. ასევე, ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელმა და წევრების ნაწილმა, მოახდინეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია – შეიძინეს ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალებები და უძრავი ქონებები, რაც გამოძიების მიერ დაყადაღებულია.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ასევე მოძიებულია და ყადაღა დაედო საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებსაც. პროკურატურის მოთხოვნის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დანაშაულის ორგანიზატორს სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მასვე დაეკისრა ჯარიმა და სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა 380.000 ლარად ღირებული 3 ავტომანქანა, კომპიუტერული ტექნიკა, საბანკო ანგარიშებზე არსებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხები 467.341 ევრო, 123.854 ლარი.

ასევე, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში დანაშაულებრივი ჯგუფის 10 წევრი, მათვე, სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვათ 549.062 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება: 3 საცხოვრებელი ბინა, 2 მიწის ნაკვეთი და 2 ავტომანქანა. ასევე, დაეკისრათ ჯარიმა 510.000 ლარის ოდენობით.

პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულ გერმანიის, ავსტრიის, ჩინეთის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის 30 მოქალაქეს სრულად აუნაზღაურდებათ დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ მათთვის მიყენებული მატერიალური ზიანი. აღსანიშნავია, რომ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩამოერთვათ 2.625.263 ლარის უძრავ მოძრავი ქონება და ფულადი თანხები“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# „დანა არა, გასაღები მეკიდა და ზიპო“

## რა ეჭირა ხელში ირაკლი ლატარიას ლაშა დიაროვთან ჩხუბის დროს

ცივი იარაღი სატელევიზიო სტუდიაში და ხელჩართული ჩხუბი პირდაპირ ეთერში – დაიწყებს თუ არა გომელაურის უწყება გამოძიებას ამ ეტაპზე, უცნობია.

კადრებში, რომლებიც „ჯორჯიან თაიმსის“ სატელევიზიო ეთერით 14 აპრილს, გავრცელდა, ჩანს, როგორ იღებს ჯიბიდან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ექსპერტი ირაკლი ლატარია ნივთს და „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრს ლაშა დიაროვს უსწორდება.

„სტრატეგია აღმაშენებელი“ მომხდართან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას ითხოვს. მათ აინტერესებთ, იყო თუ არა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ანალიტიკოსი სტუდიაში ცივი იარაღით მისული.

– რა ეჭირა ხელში, კი ვნახე კადრები, მაგრამ არ ჩანს იქ კონკრეტულად და ვფიქრობ, რომ სამართალდამცავი ორგანოები ნორმალურ სახელმწიფოში ამით უნდა დაინტერესდნენ. თუ ეს იყო ცივი იარაღი, რა თქმა უნდა, ეს დანაშაულია და ასეთ შემთხვევაში გამოძიება უნდა მოხდეს. თუ არ იყო, ამაზეც განმარტება უნდა გააკეთონ ექსპერტიზამ და შესაბამისმა უწყებებმა, – განაცხადა პარტიის ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ.

„პირველებმა“ კითხვის დასმა თავად ირაკლი ლატარიასთან სცადა.

ლატარიამ სატელევიზიო კომენტარისგან თავი შეიკავა, თუმცა მიმოწერაში თქვა, რომ ცივი იარაღი არ ჰქონია.

„დანა არა, გასაღები მეკიდა და ზიპო. ვნახე მეც კადრები, შეიძლება ინსტინქტურად რომელიმე ავიღე. არ მახსოვს, რადგან ძალიან გამწარებული ვიყავი და რომელს ვიღებდი მაგ დროს, არ მახსოვს. წიგნი რომ ყოფილიყო მაგიდაზე, ალბათ მაგასაც ავიღებდი“ – წერს ლატარია.

ირაკლი ლატარია და ლაშა დიაროვი ერთმანეთს გადაცემა „დროულ კითხვებში“ დაუპირისპირდნენ. ფიზიკურ დაპირისპირებამდე მხარეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

# „არ შემიძლია, შვილებს და ხალხს თვალებში ვუყურო“

## გორში ბუღალტერ ლეილა წკრიალაშვილს პატიმრობა შეუფარდეს

– 2020 წლამდე ერთი თეთრი არ მიმითვისებია, შემდეგ, რაც მოხდა, ვაღიარებ. არ შემიძლია, გარეთ ჩემს შვილებს და ხალხს ვუყურო თვალებში – ამის შესახებ სასამართლო პროცესზე ლუდომანი ბუღალტერი, ლეილა წკრიალაშვილი საუბრობს, რომელმაც საბიუჯეტო თანხები ონლაინ ტოტალიზატორში გადარიცხა.

ცნობილია, რომ სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

– ჩემი მუშაობის დაწყებიდან 2020 წლამდე ერთი თეთრი არ მიმითვისებია. ყველაფერი არის ხაზინაში და შეუძლიათ ამოწიონ. იმის შემდეგ, რაც მოხდა, ვაღიარებ, არაფერს არ ვითხოვ. ბატონო მოსამართლეე, სადაც მიმისჯით, იქ მირჩევნია. არ შემიძლია, გარეთ ჩემს შვილებს და ხალხს ვუყურო თვალებში. ეს პირველი დღიდან ჩემი მოთხოვნა იყო. არანაირ მიმალვაზე არ მიფიქრია. ბატონო პროკურორო, მხოლოდ ერთ რაღაცას გთხოვთ, ძველი წლები ამოიღეთ, – თქვა მან პროცესზე.

შეგახსენებთ, რომ გორის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს ბუღალტერმა მერიის ბიუჯეტიდან 500 ათასი ლარი აზარტულ თამაშებში გაფლანგა.

# გორში პოლიციის პიკაპი მანქანას დაეჯახა

გორში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორმა პირმა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო.

ერთ-ერთ დაშავებულს სამედიცინო დახმარება ამბულატორიულად გაეწია, მეორე კი გორის სამხედრო ჰოსპიტალის სტაციონარშია მოთავსებული და მას ოპერაცია ჩაუტარდა.

შემთხვევა ძმები რომელაშვილების ქუჩაზე მოხდა, ერთმანეთს პოლიციის პიკაპი და მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახნენ.

მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

# ქართველმა ქალმა ბერძენ დამსაქმებელს 133.000 ევროს ფული და ძვირფასეულობა მოპარა

44 წლის ქართველმა ქალმა ბერძენი დამსაქმებელი გაძარცვა.

ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.

შემთხვევა სალონიკში მოხდა.

მედიის ინფორმაციით, ქართველმა მომვლელმა სახლიდან ძვირფასეულობა და ფული გაიტანა. საერთო ჯამში, ნაძარცვის ღირებულება 133.000 ევროს აღწევს.

სალონიკის პოლიციამ მძარცველი უკვე დააკავა.

გაირკვა, რომ საქართველოს მოქალაქე დანაშაულს 2021 წლის ოქტომბრიდან, 2022 წლის აპრილამდე პერიოდში სჩადიოდა.

# თბილისში სანაპიროზე 3 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს

## 1 ადამიანი დაიღუპა

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთი დაშავდა. შემთხვევა 15 აპრილს ღამე მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს სამი ავტომობილი შეეჯახა.

# პოლიციამ რეგიონებში იარაღი ამოიღო

## დაკავებულია 3 პირი

სამართალდამცველებმა კახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია 3 პირი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 3 პირი.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1990 წელს დაბადებული თ. ჯ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში დააკავეს. პოლიციამ, მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 2 მჭიდი.

ამავე დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1962 წელს დაბადებული დ.ლ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს „ნაგანის“ ტიპის 2 პისტოლეტი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1941 წელს დაბადებული რ.ბ. დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, მჭიდი და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 30 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# დმიტრიმ მარიუპოლიდან ცივ წყალში 4 კმ გაცურა

## მას არყით და ბორშჩით გაუმასპინძლდნენ

მარიუპოლის მცხოვრებმა უკრაინელმა დმიტრი იურინმა ოკუპანტების მიერ ალყაშემორტყმული ქალაქი ზღვაში რამდენიმესაათიანი ცურვის შედეგად დატოვა. იურინი ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება მარიუპოლის დრამატული თეატრის შენობის დაბომბვის შემდეგ მიიღო.

– საშინელება იყო, უზარმაზარი აფეთქება მოხდა. გავიგონე ტირილის და ყვირილის ხმები. დავინახე ცხედრები, სხეულის ნაწილები. ერთი ქალი გამოვიყვანე, შემდეგ – გოგო, შემდეგ – ბიჭი. ყველა დაშავებული იყო. ბიჭი ფეხებს ვერ ამოძრავებდა, ყვიროდა. მე ხელები მიკანკალებდა. სისხლში ვიყავი ამოსვრილი.

ჩემთან ახლოს, მიწაზე ქალი იწვა, არ მოძრაობდა. ოჯახის წევრები სასოწარკვეთით ცდილობდნენ მის გადარჩენას, მკერდზე აწვებოდნენ. მის უკან დაბრუნებას ცდილობდნენ. მასთან ახლოს ბავშვი იყო, რომელიც ამბობდა: „დედა, არ დაიძინოო!“ ქალი უკვე მკვდარი იყო, – იხსენებს დმიტრი.

დმიტრი მეთევზეა, რომელსაც აზოვის ზღვაზე მრავალი საათი აქვს გატარებული. მან მოძებნა თავისი სათევზაო კომბინეზონი, ასევე, ბაწარი და 5-ლიტრიანი ბოთლი, რომელსაც უსაფრთხოების ჟილეტის მაგივრად გამოიყენებდა.

მან თავშესაფრად ქცეული გარაჟი მოსაღამოებისას დატოვა, ქალაქში დანგრეულ შენობებს ჩაუარა, ქუჩები კი თითქმის ცარიელი იყო.

ნაპირთან, წყალში, 15 მეტრი გაიარა, შემდეგ კი დასავლეთისკენ გაცურა.

წყალში საშინლად ციოდა:

– კბილები მიცახცახებდა. ერთ-ერთი ბოთლის უკან დავიმალე, არავის რომ არ დავენახე.

ამ მდგომარეობაში დმიტრიმ ორსაათნახევარი იცურა. ცივ წყალში 4 კილომეტრის გაცურვის შემდეგ კი უკან მოიტოვა რუსეთის ჯარის პოზიციები და ნაპირზეც ამოვიდა. ხმელეთზე მოხუც წყვილს შეხვდა, რომლებმაც სახლში წაიყვანეს და არყით და ბორშჩით გაუმასპინძლდნენ.

# კიევის ოლქში სულ 900 მშვიდობიანი მოქალაქის ცხედარი იპოვეს

კიევის ოლქის პოლიციის უფროს ანდრეი ნებიტოვის ინფორმაციით, კიევის ოლქში სულ 900 მშვიდობიანი მოქალაქის ცხედარი იპოვეს.

საუბარია კიევის ოლქის იმ დასახლებულ პუნქტებზე, სადაც თებერვალ-მარტის განმავლობაში რუსი ოკუპანტები იმყოფებოდნენ.

როგორც ნებიტოვმა აღნიშნა, ყველაზე მეტი ცხედარი ბუჩაში იპოვეს – 350 ადამიანი. მისივე თქმით, ბოროდიანკასა და მაკაროვში გაწმენდითი სამუშაოები ამ დრომდე მიმდინარეობს და ნანგრევებში, სავარაუდოდ, ცხედრები იქნება.

ნებიტოვი ამბობს, რომ ყველა გარდაცვლილი მშვიდობიანი მოქალაქე იყო.

# მოსკოვმა ბორის ჯონსონს რუსეთში შესვლა აუკრძალა

რუსეთმა ბრიტანეთს საპასუხო სანქციები დაუწესა და 13 ბრიტანელ პოლიტიკოსს რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა.

სანქცირებულთა შორის არიან მოქმედი პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი.

# რომან აბრამოვიჩი კიევში არ ყოფილა

რომან აბრამოვიჩი არ იმყოფება კიევში და იქ არ ყოფილა უახლოეს პერიოდში, – ამის შესახებ რუსი ბიზნესმენის წარმომადგენელმა მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ განმარტა.

– არა, ეს არასწორი ინფორმაციაა – აბრამოვიჩი არ იმყოფება კიევში და უახლოეს პერიოდში იქ არ ყოფილა, – განაცხადა წარმომადგენელმა.

ცნობისთვის, ბლუმბერგმა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც რუსი ოლიგარქი, რომან აბრამოვიჩი კიევში ჩავიდა, რათა რუსეთ-უკრაინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი განაახლოს.

ბლუმბერგის ინფორმაციით, კიევში ჩასვლის შემდეგ აბრამოვიჩი უკრაინელ დიპლომატებს შეხვდა, რათა მათთან ერთად რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებების აღდგენის შესაძლო გზები განეხილა.

მედიასაშუალების განმარტებით, რუსი ოლიგარქი, რომელსაც ვლადიმირ პუტინთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს, რუსეთსა და უკრაინას შორის არაფორმალური მედიატორის როლს ასრულებს.



# საბერძნეთში 5-ბალიანი მიწისძვრა მოხდა

საბერძნეთში, 16 აპრილს, 20:00 საათზე 5-ბალიანი მიწისძვრა მოხდა.

ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.

გამოცემის თანახმად, 5-ბალიანი მიწისძვრა კუნძულ კითირასთან, ზღვის ტერიტორიაზე მოხდა.

გეოდინამიკური ინსტიტუტის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი, კითირას სამხრეთ-დასავლეთით 46 კილომეტრში იყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# თბილისის დინამომ გამოტოვებული მატჩით ვერ ისარგებლა

ეროვნული ლიგის მე-5 ტურის გადადებული სამი მატჩი გაიმართა და უკვე ყველა გუნდს თამაშების თანაბარი რაოდენობა აქვს ჩატარებული. საინტერესოა, რომ სამივე გადადებული შეხვედრა ფრედ დასრულდა.

**საბურთალო-დინამო (თბ) 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ქარდავა (33), 1:1 გაბედავა (90)

**საბურთალო:** გოშაძე, გოჩოლეიშვილი, კაკუბავა, ჯგერენაია, ტაბატაძე, ქარდავა, შ.ნონიკაშვილი, გულიაშვილი (შინდაგორიძე 85), მიოჩი (ო.მამაგეიშვილი 70), ქავთარაძე (ლ.ნონიკაშვილი 70), სიხარულიძე (იაშვილი 90)

**დინამო:** პრიეტო, მალი, ბენიო, კალანდაძე, ხარაბაძე, პაპავა, ბარნსი (ბილენკი 8), მექვაბიშვილი, ლომინაძე (სტეფენი 90), კამარა, ანტილევსკი (გაბედავა 56)

მიხეილ მესხზე გამართულ თბილისურ დერბიში საბურთალო იგებდა, მაგრამ დინამომ ზედ საფინალო სასტვენის წინ გაათანაბრა.

საბურთალოელები ბაქარ ქარდავამ დააწინაურა, დინამოელთაგან კი, გოლი გიორგი გაბედავამ გაიტანა. აქაც საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა – ორივე ფეხბურთელმა ყოფილ გუნდს გაუტანა. ამასთან, ორივემ თავით და ორივემ პატივისცემა გამოიჩინა ყოფილი კლუბის მიმართ – გოლი არ აღნიშნეს.

დინამოს შეეძლო ბათუმელ სეხნიებს ქულებით დასწეოდნენ და ცხრილში ორხელისუფლებიანობა ყოფილიყო, მაგრამ ქულას ძლივს გამორჩნენ და მე-3 ადგილზე არიან.

**თელავი-ტორპედო 0:0**

**თელავი. კავკასიონი არენა**

**თელავი:** სანიკიძე, ც.კაპანაძე (მახარობლიძე 70), მარაქველიძე, ზ.თევზაძე, ქანთარია, პავიშჩი, გოშთელიანი ( ქოჩლაძე 59), ჯიქია, მუჯირი (ხაბულიანი 59), პარკინაშვილი (აშორტია 46), თოლორდავა

**ტორპედო:** ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე, მირცხულავა, აბულაძე, ნადარაია, ცინცაძე (ბოჭორიშვილი 73), ძარია (არველაძე 64), პაპუნაშვილი, სანდოხაძე, ვაჩიბერაძე, თ.ახვლედიანი

თელავმა ზედიზედ მე-3 მატჩი დაასრულა ფრედ, ქუთაისელებმა კი, ბოლო 3 თამაშში 7 ქულა აიღეს. გუნდები 10-10 ქულით ცხრილში მეზობლად არიან.

სხვათა შორის, თელაველებს მხოლოდ 4 გოლი აქვთ გაშვებული – ყველაზე ცოტა ბათუმის დინამოსთან ერთად.

ტორპედო კახეთში სეკვესტრირებული ჩავიდა – ტრავმის გამო 12 ფეხბურთელი აკლდა და სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ 4 მოთამაშე იჯდა.

თუმცა, ქუთათურებმა მოახერხეს და თელავიდან ქულა წაიღეს.

**სამგურალი-გაგრა 1:1**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 ჩიხლაძე (19), 1:1 ვაწაძე (52პ)

**სამგურალი:** შოვნაძე (ქვილითაია 29), პატარკაციშვილი, გილმორი, ს.კუხიანიძე, ჩიხლაძე, სიმდიანკინი, ქურდაძე, მ.ბაშელეიშვილი (გავაშელიშვილი 72), გ.თევზაძე (კალანდარიშვილი 61), კიკაბიძე (ი.ახვლედიანი 72), ჯერალდო (რუხაძე 61)

**გაგრა:** ქავთარაძე, ხოსიტაშვილი, კვირკველია, ჭანტურია, შონია (სულთანიშვილი 75), ხაბელაშვილი (ჩოგაძე 75), ქობულაძე, შეწირული, ვეკუა (ბუხაიძე 80), ვაწაძე, კვირკვია (ფარულავა 80)

ზესტაფონის დავით აბაშიძის სტადიონზე წყალტუბოელები დაწინაურდნენ, გაგრამ კი მე-2 ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა და შეხვედრა 1:1 დამთავრდა.

სამგურალიდან დემურ ჩიხლაძემ გაიტანა, მერე კი გამოცდილმა მათე ვაწაძემ პენალტით აღადგინა წონასწორობა. ეს ვაწაძის მეოთხე გოლია ამ სეზონში.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ პენალტი საეჭვო ვითარებაში დაინიშნა, ხოლო მატჩის მიმდინარეობას სამგურალი უკეთ აკონტროლებდა და მეტოქეზე ბევრი მომენტიც შექმნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 7 | 5 | 1 | 1 | 16-4 | 16 |
| 2.დილა | 7 | 5 | 0 | 2 | 11-6 | 15 |
| 3.დინამო (თბ) | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| 4.თელავი | 7 | 2 | 4 | 1 | 6-4 | 10 |
| 5.ტორპედო | 7 | 3 | 1 | 3 | 7-10 | 10 |
| 6.საბურთალო | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 7.სამგურალი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 8.გაგრა | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| 9.სიონი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-14 | 5 |
| 10.ლოკომოტივი | 7 | 0 | 0 | 7 | 4-17 | 0 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ქირურგს მაკრატელი პაციენტის კუჭში დარჩა

ვენესუელაში საავადმყოფოში პაციენტმა წარმატებით გადაიტანა ოპერაცია, მაგრამ შემდეგ ქირურგის გულმავიწყობას შეეწირა.

59 წლის ივან ჩავესს ქალაქ მარაკაიბოს საუნივერსიტეტო საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთდა. მალე მამაკაცმა მუცლის არეში ტკივილები იგრძნო, გარდა ამისა, ჭამას თითქმის ვეღარ ახერხებდა, ასევე, პრობლემები ჰქონდა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროს.

თავდაპირველად ექიმებმა მას მედიკამენტოზური მკურნალობა დაუნიშნეს, მაგრამ შემდეგ რენტგენის გადაღება გადაწყვიტეს და აღმოაჩინეს, რომ ქირურგს ჩავესის კუჭში მაკრატელი დაავიწყდა. მამაკაცს სასწრაფოდ გაუკეთდა ოპერაცია უცხო სხეულის ამოსაღებად. ეს ოპერაციაც თავიდან წარმატებულად ჩაითვალა, თუმცა ხუთი დღის შემდეგ პაციენტი გარდაიცვალა.

ექიმები, რომლებმაც პირველი ოპერაცია ჩაატარეს, დააკავეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. მარაკაიბოს საუნივერსიტეტო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, ჩავესის გარდაცვალების მიზეზი მისი ავადმყოფობა გახდა და არა ექიმების დაუდევრობა. ამის მიუხედავად, ამ დროისთვის პატიმრობაში იმყოფება საავადმყოფოს ერთ-ერთი თანამშრომელი, თუმცა მისი პაციენტის დაღუპვასთან კავშირის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

ჩავესის ოჯახის წევრები ამტკიცებენ, რომ ექიმები ყველანაირად ცდილობდნენ, დაემალათ მათი ნათესავის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე საათის შემდეგაც კი უმტკიცებდნენ, რომ ყველაფერი კარგად იყო.

# მდედრმა მარტორქამ თავისი ნაშიერი აგრესიული მამრისგან დაიცვა

სამხრეთ აფრიკის კაპამას კერძო ნაკრძალში მდედრი თეთრი მარტორქა საკუთარი ნაშიერის დასაცავად აგრესიულ მამრს შეებრძოლა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლის ავტორმა ნეთენ ნიუმენმა მარტორქები იმ დროს შენიშნა, როდესაც ნაკრძალში საფარი-ტურს ატარებდა. მის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს გააფთრებული მამრი ცხოველი, რომლის წონაც, სავარაუდოდ, ორ ტონას აღემატება და რომელიც თავს დაესხა მდედრ თანამოძმეს და ურქინა.

როდესაც წინააღმდეგობას გადააწყდა, მამრი სამი წლის მოზარდის გაგდებას შეეცადა, მაგრამ მას წინ ისევ მდედრი მარტორქა გადაუდგა. მამრი მისკენ გაქანდა, თუმცა მდედრმა უკან არ დაიხია და მამაცურად დახვდა.

– ექვსი წელია გიდად ვმუშაობ, მაგრამ არასოდეს მინახავს მარტორქების ასეთი დაპირისპირება. ვერაფრით დავიჯერებდი, რომ მამრი შეიძლება ასეთი აგრესიული ყოფილიყო თანამოძმესთან მიმართებაში, – განაცხადა ნიუმენმა.

მისი თქმით, დაპირისპირების ბოლოს მდედრი მარტორქა და მისი ნაშიერი შეეცადნენ იმ ადგილს გასცლოდნენ, მაგრამ მამრი მათ დევნას აგრძელებდა და ცდილობდა ისევ თავს დასხმოდა მდედრ მარტორქას.

– ერთი რამ თვალნათელი იყო, რომ ამ დაპირისპირების შედეგად არც ერთ მათგანს რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღია, – აღნიშნა ვიდეოს ავტორმა.

# მამაკაცმა ლატარიაში მოგებული მილიონები თითქმის მთლიანად დაარიგა

საფრანგეთის მკვიდრი ლატარიის ევრომილიონის გათამაშების გამარჯვებული გახდა და თითქმის მთელი ფული ქველმოქმედებაში დახარჯა.

მამაკაცი გათამაშების გამარჯვებულად 2020 წლის დეკემბერში გამოცხადდა. ის ჯეკპოტის 200 მილიონი ევროს მფლობელი გახდა. თავის პირველივე ინტერვიუში მამაკაცმა განაცხადა, რომ მოგებულ ფულს საკუთარ საქველმოქმედო ფონდის განვითარებას მოახმარდა, რომელიც ტყის და ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნებისთვის დააფუძნა.

– მე მსხვილი ჯეკპოტების გათამაშებაში მხოლოდ ერთადერთი მიზნით ვმონაწილეობდი, ფულის დიდი ნაწილი საკუთარი ფონდის შექმნისთვის გამომეყენებინა, – ამტკიცებს მამაკაცი.

მოგვიანებით, ერთ-ერთ გაზეთთან მიმოწერაში მამაკაცმა დაადასტურა, რომ მოგებული თანხის დიდი ნაწილი უკვე ჩადო ფონდის მუშაობაში, ხოლო დანარჩენ თანხას თანდათანობით შეიტანს. მან ასევე აღნიშნა, რომ კვლავინდებურად მშვიდად და უშფოთველად ცხოვრებას აგრძელებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქუთაისი თსუ-ს გამოდევნებას აგრძელებს

**ოლიმპი-ქუთაისი 75:77**
**(23:17, 14:17, 18:16, 20:27)**

დავით როგავას გაწვრთნილ ოლიმპს ქუთაისთან არ უმართლებს. ოლიმპელებს იმერული კლუბის თავისებური სინდრომი ჩამოუყალიბდათ, რომელთანაც მიმდინარე სეზონში მესამედ და ისევ დაძაბულ ბრძოლაში წააგეს. განსაკუთრებით მწარე, ამ თვის დასაწყისში თასის ნახევარფინალში ბოლო წამებზე წაგება გახლდათ და ამჯერადაც ანალოგიური მარცხი განიცადეს.

მატჩის დასრულებამდე 76 წამით ადრე ოლიმპი 75:70 იგებდა, მაგრამ რიონისპირელთა გუნდური თამაშით, პლუს ჯარვის რეისა და გიორგი კორსანტიას მონდომებით იმერულმა კლუბმა გამარჯვება მოახერხა. რეიმ ერთ შეტევაში 3 ქულა აიღო, შემდეგ კორსანტიამ ჯერ კახა ჯინჭარაძეს ხომ დაუფარა, საპასუხო შეტევაში კი, გამთანაბრებელი ორქულიანი ჩააგდო – 75:75 დასრულებამდე 40 წამით ადრე. ქუთაისელებმა მეტოქის შეტევა მოიგერიეს და რეიმ 20 წამით ქუთაისელები დააწინაურა – 77:75.

ოლიმპს ბოლო შეტევა კი დარჩა, მაგრამ ქუთაისელთა დაცვის გამო წარმატებით ვერ დაასრულა და შეხვედრაც დასრულდა. იმერლები პირველ ადგილზე კი გადავიდნენ, მაგრამ დაკარგული ქულებით ჯერ ისევ თსუ ლიდერობს.

გამარჯვებულთაგან 23 ქულით ბომბარდირი გახდა ჯარვის რეი. 15 ქულა და 17 მოხსნა გიორგი კორსანტიამ მოაგროვა, 15 ქულა მოაგროვა სტივენ ფლეჯერმაც. ოლიმპში 22 ქულით საუკეთესო იყო იმორას ეიჯი, 15 ქულა კევინ ობერვაიზერმა მოაგროვა, ხოლო ედვარდ ეკიორის ანგარიშზე 8 ქულა და 15 მოხსნა დაგროვდა.

**ტიტები-ბათუმი 97:82**
**(22:13, 29:25, 20:18, 26:26)**

ტიტებმა ბათუმს უმასპინძლა და დამაჯერებელი სხვაობით – 97:82 დაამარცხეს. როგორც ჩანს, ამ შეხვედრას ბათუმელებისთვის არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, რადგან სამწვრთნელო შტაბმა 2 ლიდერი – საბა ლობჯანიძე და ბექა ბექაური დაასვენა, ხოლო გუნდის დანარჩენ კალათბურთელებს კი სათამაშო დრო დაახლოებით თანაბრად გადაუნაწილდათ.

ტიტებმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა, რითაც ცხრილში მე-6 ადგილი გაიმყარა. ბესო ლეჟავას გაწვრთნილმა გუნდმა თავიდანვე რომ მოიპოვა უპირატესობა, მატჩის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვია. მხოლოდ ბოლო პერიოდი დასრულდა ფრედ, ყველა დანარჩენი ტიტებმა მოიგო და დამაჯერებელი გამარჯვება გაიფორმა.

თბილისურ გუნდს 25 ქულითა და 20 მოხსნით ჯავაინ ოგუნიემიმ ულიდერა. 20 ქულა და 12 პასი ისააკ ასრატის ანგარიშზეა. 19 ქულითა და 7 პასით დაასრულა შეხვედრა კრისტოფერ პარკერმა. ბათუმში 19 ქულა ჰქონდა დე ანჯელო სტიუარტს, ხოლო ლევან ელიაძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

**დინამო-რუსთავი 69:85**
**(24:23, 17:20, 11:18, 17:24)**

ამ გამარჯვების შემდეგ რუსთავმა, რომელიც გასული სეზონის ჩემპიონია, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებელ საკვალიფიკაციო სერიაში მონაწილეობა თავიდან აირიდა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილ რუსთაველებს ეს შესაძლებლობა დინამოს (85:69) დამარცხებამ მოუტანა, რის შემდეგაც კაკტუსისთვის მიუწვდომელი გახდა.

საკუთრივ კაკტუსი, რომელსაც რეგულარულ ჩემპიონატში ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი, ზემოხსენებული საკვალიფიკაციო სერიისთვის თითქმის განწირულია. გადათამაშებაში მონაწილეობა რომ თავიდან აირიდოს, ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი კაკტუსი მხოლოდ თავის თავზე არაა დამოკიდებული. კერძოდ, კაკტუსმა ბოლო ტურში მეგას მინიმუმ 25 ქულით უნდა მოუგოს, ხოლო მეგასა და ცხუმ-აფხაზეთის დაპირისპირება ცხუმელთა გამარჯვებით უნდა დასრულდეს. ეს პირობები იმ გარემოებამ მოიტანა, რომ კაკტუსს ცხუმთან რეგულარულის 2-ვე შეხვედრა აქვს წაგებული, ხოლო მეგასთან კაკტუსელებს პირველ წრეში 24-ქულიანი მარცხი უმძიმებს ყოფას.

როგორც რუსთავი, ისე ცხუმიც თავისუფალია მე-10 ადგილის დაკავებისგან და დარჩენილ მატჩებში ამ კუთხით იმასღა შევიტყობთ, სუპერლიგაში დასარჩენ საკვალიფიკაციოში ა ლიგის ფინალში დამარცხებულ გუნდთან კაკტუსი ითამაშებს თუ მეგა.

რაც შეეხება დინამოს, მისი ამბავი, რომ ბოლო ადგილს დაიკავებდა, რაც ა ლიგაში დაქვეითებას ნიშნავს, აქამდეც გარკვეული იყო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 19 | 15 | 4 | 1679-1533 | 34 |
| 2.თსუ | 18 | 15 | 3 | 1499-1388 | 33 |
| 3.ოლიმპი | 19 | 11 | 8 | 1570-1509 | 30 |
| 4.ბათუმი | 19 | 11 | 8 | 1563-1483 | 30 |
| 5.ვერა | 19 | 10 | 9 | 1604-1650 | 29 |
| 6.ტიტები | 18 | 9 | 9 | 1468-1441 | 27 |
| 7.რუსთავი | 19 | 8 | 11 | 1526-1595 | 27 |
| 8.ცხუმი | 18 | 7 | 11 | 1442-1465 | 25 |
| 9.კაკტუსი | 19 | 6 | 13 | 1482-1530 | 25 |
| 10.მეგა | 17 | 7 | 10 | 1339-1369 | 24 |
| 11.დინამო | 19 | 3 | 16 | 1497-1706 | 22 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### 16 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ღიგის თასი**

სიტი-ლივერპული ..... 2:3

**ინგლისი. ჰიემეიჩიგა**

ტოტენჰემი-ბრაიტონი ..... 0:1
მანჩესტერი-ნორვიჩი ..... 3:2
საუთჰემპტონი-არსენალი ..... 1:0
უოტფორდი-ბრენტფორდი ..... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 31 | 23 | 5 | 3 | 72-20 | 74 |
| 2.ლივერპული | 31 | 22 | 7 | 2 | 79-22 | 73 |
| 3.ჩელსი | 30 | 18 | 8 | 4 | 64-23 | 62 |
| 4.ტოტენჰემი | 32 | 18 | 3 | 11 | 56-38 | 57 |
| 5.მანჩესტერი | 32 | 15 | 9 | 8 | 52-44 | 54 |
| 6.არსენალი | 31 | 17 | 3 | 11 | 45-37 | 54 |
| 7.ვესტ ჰემი | 32 | 15 | 6 | 11 | 51-42 | 51 |
| 8.ვულვზი | 32 | 15 | 4 | 13 | 33-28 | 49 |
| 9.ლესტერი | 29 | 11 | 7 | 11 | 45-48 | 40 |
| 10.ბრაიტონი | 32 | 9 | 13 | 10 | 29-37 | 40 |
| 11.ბრენტფორდი | 33 | 11 | 6 | 16 | 41-49 | 39 |
| 12.საუთჰემპტონი | 32 | 9 | 12 | 11 | 38-52 | 39 |
| 13.კრ.პალასი | 31 | 8 | 13 | 10 | 43-40 | 37 |
| 14.ასტონ ვილა | 31 | 11 | 3 | 17 | 42-46 | 36 |
| 15.ნიუკასლი | 31 | 8 | 10 | 13 | 34-54 | 34 |
| 16.ლიდსი | 32 | 8 | 9 | 15 | 38-68 | 33 |
| 17.ევერტონი | 30 | 8 | 4 | 18 | 33-52 | 28 |
| 18.ბარნლი | 30 | 4 | 12 | 14 | 25-44 | 24 |
| 19.უოტფორდი | 32 | 6 | 4 | 22 | 30-62 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 32 | 5 | 6 | 21 | 22-66 | 21 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ჰერტა ..... 0:1
დორტმუნდი-ვოლფსბურგი ..... 6:1
მაინცი-შტუტგარტი ..... 0:0
ფრაიბურგი-ბოხუმი ..... 3:0
გლადბახი-კიოლნი ..... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 22 | 3 | 4 | 86-29 | 69 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 20 | 3 | 7 | 76-43 | 63 |
| 3.ლევერკუზენი | 29 | 15 | 7 | 7 | 68-42 | 52 |
| 4.ლაიფციგი | 29 | 15 | 6 | 8 | 64-31 | 51 |
| 5.ფრაიბურგი | 30 | 14 | 9 | 7 | 49-34 | 51 |
| 6.კიოლნი | 30 | 12 | 10 | 8 | 44-44 | 46 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 29 | 13 | 5 | 11 | 50-45 | 44 |
| 8.უნიონი | 29 | 12 | 8 | 9 | 38-39 | 44 |
| 9.მაინცი | 30 | 11 | 6 | 13 | 43-36 | 39 |
| 10.აინტრახტი | 29 | 10 | 9 | 10 | 40-40 | 39 |
| 11.გლადბახი | 30 | 10 | 7 | 13 | 42-55 | 37 |
| 12.ბოხუმი | 30 | 10 | 6 | 14 | 30-43 | 36 |
| 13.ვოლფსბურგი | 30 | 10 | 4 | 16 | 34-51 | 34 |
| 14.აუგსბურგი | 30 | 8 | 8 | 14 | 34-47 | 32 |
| 15.ჰერტა | 30 | 8 | 5 | 17 | 32-66 | 29 |
| 16.შტუტგარტი | 30 | 6 | 10 | 14 | 36-53 | 28 |
| 17.არმინია | 29 | 5 | 11 | 13 | 23-43 | 26 |
| 18.ფიურტი | 29 | 3 | 7 | 19 | 24-72 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ფორტუნა ..... 0:0
დინამო-კილი ..... 0:0
ზანდჰაუზენი-ზ.პაული ..... 1:1
ჰამბურგი-კარლსრუე ..... 3:0

**ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი**

ელჩე-მალიორკა ..... 3:0
ალავესი-რაიო ..... 1:0
ვალენსია-ოსასუნა ..... 1:2
ხეტაფე-ვილარეალი ..... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 31 | 22 | 6 | 3 | 63-26 | 72 |
| 2.ბარსელონა | 30 | 17 | 9 | 4 | 60-31 | 60 |
| 3.სევილია | 31 | 16 | 12 | 3 | 44-22 | 60 |
| 4.ატლეტიკო | 31 | 17 | 6 | 8 | 57-38 | 57 |
| 5.ბეტისი | 32 | 17 | 6 | 9 | 56-37 | 57 |
| 6.სოსიედადი | 32 | 15 | 10 | 7 | 32-30 | 55 |
| 7.ვილიარეალი | 32 | 13 | 10 | 9 | 51-31 | 49 |
| 8.ბილბაო | 31 | 11 | 12 | 8 | 36-30 | 45 |
| 9.ოსასუნა | 32 | 12 | 8 | 12 | 33-41 | 44 |
| 10.ვალენსია | 32 | 10 | 12 | 10 | 44-46 | 42 |
| 11.ესპანიოლი | 31 | 10 | 9 | 12 | 36-42 | 39 |
| 12.სელტა | 31 | 9 | 9 | 13 | 34-35 | 36 |
| 13.ელჩე | 32 | 9 | 8 | 15 | 35-44 | 35 |
| 14.რაიო | 31 | 9 | 7 | 15 | 32-38 | 34 |
| 15.ხეტაფე | 32 | 7 | 11 | 14 | 29-37 | 32 |
| 16.გრანადა | 31 | 6 | 11 | 14 | 35-52 | 29 |
| 17.მალიორკა | 32 | 7 | 8 | 17 | 27-53 | 29 |
| 18.კადისი | 31 | 5 | 13 | 13 | 26-43 | 28 |
| 19.ალავესი | 32 | 6 | 7 | 19 | 25-53 | 25 |
| 20.ლევანტე | 31 | 4 | 10 | 17 | 35-61 | 22 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეგანესი-მალაგა ..... 0:3
ვალიადოლიდი-ალმერია ..... 2:2
ხიხონი-ოვიედო ..... 0:1
კარტახენა-ალკორკონი ..... 3:1

**იტალია. სერია ა**

კალიარი-სასუოლო ..... 1:0
სამპდორია-სალერნიტანა ..... 1:2
უდინეზე-ემპოლი ..... 4:1
ფიორენტინა-ვენეცია ..... 1:0
იუვენტუსი-ბოლონია ..... 1:1
ლაციო-ტორინო ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 33 | 21 | 8 | 4 | 58-29 | 71 |
| 2.ინტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 68-25 | 69 |
| 3.ნაპოლი | 32 | 20 | 6 | 6 | 58-26 | 66 |
| 4.იუვენტუსი | 33 | 18 | 9 | 6 | 50-29 | 63 |
| 5.რომა | 32 | 17 | 6 | 9 | 53-36 | 57 |
| 6.ლაციო | 33 | 16 | 8 | 9 | 65-48 | 56 |
| 7.ფიორენტინა | 32 | 17 | 5 | 10 | 53-40 | 56 |
| 8.ატალანტა | 31 | 14 | 9 | 8 | 53-36 | 51 |
| 9.სასუოლო | 33 | 12 | 10 | 11 | 58-53 | 46 |
| 10.ვერონა | 32 | 12 | 9 | 11 | 56-49 | 45 |
| 11.ტორინო | 32 | 10 | 10 | 12 | 36-31 | 40 |
| 12.უდინეზე | 31 | 9 | 12 | 10 | 47-49 | 39 |
| 13.ბოლონია | 32 | 10 | 8 | 14 | 35-45 | 38 |
| 14.ემპოლი | 33 | 8 | 10 | 15 | 42-60 | 34 |
| 15.სპეცია | 33 | 9 | 6 | 18 | 33-57 | 33 |
| 16.სამპდორია | 33 | 8 | 5 | 20 | 40-56 | 29 |
| 17.კალიარი | 33 | 6 | 10 | 17 | 31-61 | 28 |
| 18.ჯენოა | 33 | 2 | 16 | 15 | 24-54 | 22 |
| 19.ვენეცია | 32 | 5 | 7 | 20 | 26-58 | 22 |
| 20.სალერნიტანა | 31 | 4 | 7 | 20 | 25-69 | 18 |

**საფრანგეთი. ღიგა 1**

სტ.ეტიენი-ბრესტი ..... 2:1
ლილი-ლანსი ..... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 22 | 5 | 4 | 70-29 | 71 |
| 2.მარსელი | 31 | 17 | 8 | 6 | 51-29 | 59 |
| 3.რენი | 32 | 17 | 5 | 10 | 69-34 | 56 |
| 4.მონაკო | 32 | 15 | 8 | 9 | 50-34 | 53 |
| 5.სტრასბური | 31 | 14 | 10 | 7 | 52-33 | 52 |
| 6.ნიცა | 31 | 15 | 7 | 9 | 40-27 | 51 |
| 7.ლანსი | 32 | 14 | 8 | 10 | 50-41 | 50 |
| 8.ლილი | 32 | 12 | 12 | 8 | 40-38 | 48 |
| 9.ნანტი | 31 | 13 | 7 | 11 | 40-34 | 46 |
| 10.ლიონი | 31 | 12 | 11 | 8 | 44-40 | 46 |
| 11.მონპელიე | 31 | 12 | 5 | 14 | 44-44 | 41 |
| 12.ბრესტი | 32 | 10 | 9 | 13 | 40-47 | 39 |
| 13.რეიმსი | 31 | 8 | 12 | 11 | 34-35 | 36 |
| 14.ანჟე | 31 | 8 | 9 | 14 | 35-45 | 33 |
| 15.ტრუა | 31 | 8 | 8 | 15 | 29-44 | 32 |
| 16.ლორიანი | 31 | 7 | 10 | 14 | 31-50 | 31 |
| 17.სტ.ეტიენი | 32 | 7 | 9 | 16 | 35-62 | 30 |
| 18.კლერმონი | 31 | 7 | 7 | 17 | 31-60 | 28 |
| 19.ბორდო | 31 | 5 | 11 | 15 | 41-71 | 26 |
| 20.მეცი | 31 | 4 | 11 | 16 | 28-57 | 23 |

**საფრანგეთი. ღიგა 2**

პო-ოსერი ..... 1:4
ტულუზა-კევიი ..... 2:0
ვალანსიენი-ლავრი ..... 0:1
დიჟონი-აიაჩო ..... 0:3
დიუნკერკი-გრენობლი ..... 0:3
კაენი-ამიენი ..... 1:1
ნანსი-ნიორი ..... 0:2
ნიმი-სოშო ..... 1:3
როდეზი-პარიზი ..... 0:1
ბასტია-გენგამი ..... 1:2

**ნიდერლანდები. ეროვნული**

სიტარდი-სპარტა ..... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ღიგა**

მორეირენშე-ტონდელა ..... 2:0
ბელენენსეში-ვიზელა ..... 1:0
მარიტიმუ-ბოავიშტა ..... 4:0
პორტუ-პორტიმონენშე ..... 7:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-ლინცერი ..... 0:0
რიდი-ტიროლი ..... 2:3
ჰარტბერგი-ადმირა ..... 1:2

**მოტლანდია. თასი**

ჰართსი-ჰიბერნიანი ..... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ჰატაი-სივასი ..... 1:1
ალანია-ანთალია ..... 1:3
ალთაი-ბაშაქშეჰირი ..... 1:1
ფენერბახჩე-გიოზთეფე ..... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-ვოლოსი ..... 1:1
პანეთოლიკოსი-ასტერასი ..... 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-იანგბოიზი ..... 2:1
სერვეტი-გრასჰოპერსი ..... 0:1

**ბელგია. ექსტრაღიგა**

ლენჩნა-რადმანიკი ..... 1:0
სტალი-ვარტა ..... 0:1
ნეჩეცა-ჩენსტოხოვა ..... 0:3
იაგელონია-პოგონი ..... 1:2
პლოცკი-ლეხი ..... 0:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

უიპეშტი-ზალაეგერსეგი ..... 4:0

**უიპეშტის პირველი და მეორე გოლები ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა**

**მესამე გოლი გიორგი ბერიძემ**

პაკში-მტკ ..... 4:0
ჰონვედი-ფერენცვაროში ..... 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ვარბერგი-სუნდსვალდი ..... 2:0
დიურგარდენი-ნორჩიოპინგი ..... 2:1

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 12. ლიბანის დედაქალაქი; 14. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 15. ოპერა „ფაუსტის“ მუსიკის ავტორი; 17. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა; 18. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 6. სხვადასხვა პოპულარული მოტივებისგან შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 7. საქართველოს „ფუტბალის“ ნაკრების მეკარე; 8. შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროს კაცის“ ავტორი; 11. მეტალურგიაში გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. გეომეტრიული რვაკუთხედი; 16. აეროპორტი ნიუ იორკში; 19. გარემომცველ პირობათა, საგანთა ერთობლიობა; 20. სამეფო საგვარეულო.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ზოფხიტო; 2. გიდი; 3. ციცკა; 4. ორღანი; 6. თუთიყუში; 9. სამაია; 13. კაქტუსი; 14. მასტიფო; 15. ფირუზი; 17. კანიო; 18. ტრალი; 20. იორი.

**თარაზულად:** 1. ზაგრები; 5. თართი; 7. დიადორა; 8. ფიდიასი; 10. სიათა; 11. კოშმა; 12. პომადა; 16. პანეში; 17. კრეტა; 19. ქამა; 21. ყურუში; 22. ტიბეტი; 23. ღიღინი; 24. ფიქალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** ჰარპუნი; 2. ბადაგი; 3. ჩუღურეთი; 4. ბილტმორი; 7. ტიტესტერი; 8. ბროსნანი; 12. ბელფასტი; 14. საფერავი; 16. ენერგია; 17. ავატარი; 19. ყავა; 20. პიკე.

**თარაზულად:** 5. მაშავერა; 6. ბრუქსიზმი; 9. ჯულეპი; 10. გიშერი; 11. ღორჯო; 13. ნესვი; 15. ჯამილე; 18. შნეკი; 21. კანდელაკი; 22. გარინჩა; 23. შარტავა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0706

ევრო — 3.3190

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0136

100 რუსული რუბლი — 3.7795

## ამინდის პროგნოზი 18 აპრილისათვის

## დემბელემ შესაძლოა კარიერა პსჟ-ში გააგრძელოს

ბარსელონას ფრანგმა ნახევარმცველმა უსმან დემბელემ შესაძლოა კარიერა პსჟ-ში გააგრძელოს. ამის შესახებ ინფორმაცია ფრანგულ მედიაში ვრცელდება.

დემბელეს აგენტი პსჟ-სთან კონტაქტში იმყოფება და მალე მათ შორის უშუალოდ შესაძლოა მოხდეს მოლაპარაკებების დაწყება.

უსმანს ბოლომდე არ აქვს თავისი მომავალი გადაწყვეტილი და არ არის გამორიცხული, მან ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს.

## ხავის რამდენიმე პოზიციის გაძლიერება სურს

ბარსელონას მთავარ მწვრთნელს ხავი ერნანდესს რამდენიმე პოზიციის გაძლიერება სურს და ერთ-ერთი ასეთი პოზიცია ცენტრალური მცველია, სადაც ბარსელონას ხშირად აქვს პრობლემები. განსაკუთრებით, ეს აინტრახტთან მატჩის დროს გამოჩნდა, როდესაც პიკე მოედანზე არ იყო.

პიკე უკვე სოლიდურ ასაკშია და, სავარაუდოდ, ხავი სწორედ მის შემცვლელს ეძებს.

## კრიშტიანო რონალდუ: „ბედნიერი ვარ, რომ გუნდს გამარჯვება მოვუტანე“

მანჩესტერის იუნაიტედის პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ ნორვიჩთან შეხვედრაში 3 გოლის გატანა შეძლო და მატჩის შემდეგ მან კომენტარი გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ ის ბედნიერია, რომ ეს ასე მოხდა და იუნაიტედმა მისი გოლების წყალობით მოიგო:

– ყოველთვის მიხარია, როდესაც გუნდს ვეხმარები და ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდური გამარჯვებაა. მინდა, რომ ჩემი გოლები ყოველთვის შედეგის მომტანი იყოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## დემნა: „მოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სილუეტია“

აცხადებს მსოფლიოში ცნობილი ქართველი დიზაინერი დემნა.

– მოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სილუეტია, მაგრამ ის აგრეთვე არის მესიჯი იდენტობაზე. ხალხი არ გეკითხება ვინ ხარ, რომელი წიგნი წაგიკითხავს. ისინი ხედავენ, რა გაცვია და განგსჯიან, „ეს უსახლკარო მათხოვარია“, ან „ეს არ არის მდიდარი“. დღემდე ბევრი თავგადასავალი მემართება, ციურიხში ბანკში არ შემიშვეს, უსახლკარო ვეგონე.

სოციუმი იმდენად დაზიანებულია, რომ გვაგდებს კატეგორიებში იმის მიხედვით, თუ რა გვაცვია. ჩემი საქმე ამის გამოწვევაა, ზოგჯერ მიწევს თქმა, „უსახლკაროს ვგავარ, მაგრამ შემიძლია მიქელანჯელოს ფული გადაგიხადო“ – განაცხადა დემნა გვასალიამ.

## ასტროპროგნოზი

### 18 აპრილისათვის

**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **კურო** – არაკეთილისმსურველები თქვენთვის ზიანის მოყენებას ცდილობენ. დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **ტყუპები** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დღეს გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ახლობლისგან მიღებული ინფორმაცია თქვენს მდგომარეობას რადიკალურად შეცვლის. **ლომი** – შინაგანი არასტაბილურობა წარმატების მოპოვების შანსს დაგაკარგვინებთ. იმპულსურობა გავნებთ. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში საოჯახო საქმეების მოგვარება გაგთანგავთ. გამოფხიზლდით და სასურველს რეალობად ნუ მიიღებთ. **სასწორი** – თქვენი პირადი მომხიბვლელობა იზრდება. ნებისმიერ პრობლემას იოლად და ძალდაუტანებლად მოაგვარებთ. **ღრიანცალი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გარშემომყოფების დარწმუნებასა და თქვენ მხარეს გადაბირებას მშვენივრად ახერხებთ. **თხის რქა** – პარტნიორებთან თანამშრომლობა ძალზე პროდუქტიული იქნება. მარტხოსელებს სასიამოვნო შეხვედრები გელით. **მერწყული** – შესანიშნავად გამოიყურებით, რაც წარმატებაში ხელს შეგიწყობთ. **თევზები** – დღეს ბევრი რამ შეიცვლება, როგორც ცხოვრების სტილი, ისე ადამიანებთან ურთიერთობა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქალიშვილი დედას ეუბნება:

– დედიკო, ჩემ დასანიშნად რომ მოვლენ, უბრალოდ, თანხმობა უთხარი, ფეხებში ნუ ჩაუვარდები და ცრემლიანი თვალებით ნუ შეჰღაღადებ: „ჩვენო გადამრჩენლებო, როგორც იქნა, თქვენს მოსვლას ველირსეთ!!!“

●●●

ტელეფონი რეკავს. ყურმილის ასაღებად მისულ უფროს ძმას უმცროსი ეუბნება:

– თუ ანი, ქეთი ან მარი იქნება, უთხარი, რომ სახლში არ ვარ, ხოლო თუ თეა, ან ლალი, მაშინ სახლში ვარ...

ძმამ ყურმილი აიღო და მცირე პაუზის შემდეგ ეუბნება:

– ვენეროლოგია.

●●●

მამაკაცი ტაქსის გამოძახების სერვისში რეკავს და აღშფოთებული ეუბნება დისპეტჩერ გოგონას:

– ტაქსი შეგიკვეთეთ იმისთვის, რომ აეროპორტში დროზე მივსულიყავი! თქვენ დამპირდით, მაგრამ მანქანა აქამდე არ ჩანს.

– ძალიან ვწუხვართ, მაგრამ თავისუფალი მანქანა არ მოიძებნა. შევეცდებით, საქმე სწრაფად გამოვასწოროთ. ამას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. ჩვენს დროში თვითმფრინავი ზუსტად განრიგის მიხედვით იშვიათად მიფრინავს!

– დღეს ის თვითმფრინავი განრიგის მიხედვით ნამდვილად ვერ გაფრინდება, რადგან მისი პილოტი მე ვარ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ქალი რომ შეირთე, როგორი ცოლი გამოგადგა?

– ჰოო... მაგარია, სამზარეულოშიც და საწოლშიც...

– და ყველაფერს როგორ ასწრებს?

– ლოგინი სამზარეულოში გავშალე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი კეკელიძემ უკრაინაში დაღუპული დავით რატიანის შვილები დააჯილდოვა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ „გურული დღიურების“ ფონდის ეგიდით უკრაინაში გმირულად დაღუპული დავით რატიანის შვილები 2008 წელს რუსების მიერ სასტიკად ნაწამები გიორგი ანწუხელიძის სახელობის სტიპენდიით დააჯილდოვა:

– უკრაინაში გმირულად დაღუპული ქართველი მეომრის, დავით რატიანის შვილები – მარიამი, ლუკა და რატი, ანწუხელიძის სახელობის სტიპენდიით დავაჯილდოვეთ. სტიპენდია გადაეცა მეოთხე შვილს – ანასაც, რომელიც სვანეთში ყოფნის გამო, ვერ დაესწრო ღონისძიებას.

## პაოლო იაშვილის მშობლიური სახლი კულტურის კერად გადაიქცევა

ცისფერყანწელი პოეტის პაოლო იაშვილის მშობლიური სახლი კულტურის კერად გადაიქცევა.

საჩხერის მუნიციპალიტეტში მდებარე პოეტის სახლი პაოლო იაშვილის შთამომავლებთან გიორგი და მერაბ ნიჟარაძეებთან ერთად ადგილობრივმა ხელისუფლებამ და კულტურის მინისტრმა მოინახულეს.

წელს პაოლო იაშვილს 130 წელი უსრულდება, ადგილობრივი ხელისუფლება პაოლო იაშვილის შთამომავლებთან ერთად კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით საიუბილეო წელს აღნიშნავს. რესტავრირებული მუზეუმი შეივსება სამუზეუმო ექსპონატებით და გახდება კერა, რომელიც მიიღებს ქართველ მწერლებს და არა მხოლოდ მათ.

პაოლო იაშვილის მშობლიურ სახლში მისული დამთვალიერებლები კიდევ უფრო მეტს შეიტყობენ ცისფერყანწელი პოეტის შესახებ, რომელმაც მწერალთა სახლში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

## ლევან სონღულაშვილის ნახატებით ლეგენდარული „მეტალიკას“ მუსიკოსი დაინტერესდა

ქართველი მხატვრის ლევან სონღულაშვილის ნახატებით მსოფლიოს ლეგენდარული როკ ჯგუფ „მეტალიკას“ მუსიკოსი დაინტერესდა:

– ნიუ-იორკში ჩემი სახელოსნოს ერთ-ერთი გამორჩეული სტუმარი ჯგუფ „მეტალიკას“ ბასისტი, ჯეისონ ნიუსტედი იყო.

რამდენიმე წუთი მარტომ დაჰყო ნახატებთან, შემდეგ საკონტაქტო ინფორმაცია გამომართვა, თქვენი ნახატის შეძენით ვარ დაინტერესებულიო და გზას გაუყვა სხვა არტისტების სახელოსნოებისკენ.

მოგვიანებით კვლავ მობრუნდა, მითხრა: თქვენმა ნამუშევრებმა დამაბრუნაო და დიალოგი გავაბით. სამწუხაროდ, ვერ ვიცანი და ვკითხე, თქვენც მხატვარი ხართ-მეთქი? მიპასუხა, ხატვას ვცდილობ, თუმცა მუსიკოსი ვარო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჯგუფ „მეტალიკას“ ლეგენდარული ბასისტი ყოფილა.

## გიორგი გიორგანაშვილის, ბახალას, შეწყალებისთვის ხელმოწერები გროვდება

მსახიობისა და ტელეწამყვანის გიორგი გიორგანაშვილის – ბახალას შეწყალების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაწყებულია.

პროდიუსერმა გუკა რჩეულიშვილმა სპეციალური მანიფესტი გაავრცელა, სადაც ხელისმოწერა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მან კულტურის სფეროს წარმომადგენლებისა და გულშემატკივრების სახელით საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს მიმართა, რომ ბახალას დარჩენილი პატიმრობა აპატიოს:

– მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ მსჯავრდებულ გიორგი გრიგოლის ძე გიორგანაშვილის საქმე. მოგმართავთ თხოვნით შეწყალებაზე და ამ წერილით გვინდა შევუერთდეთ მის თხოვნას და გამოვხატოთ ჩვენი მხარდაჭერა.

გიორგი გიორგანაშვილი, ცნობილი მსახიობი და ტელეწამყვანი, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის ბრალდებით სასჯელს იხდის.

სასჯელის ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 1 წელი.

გიორგისათვის ეს იყო პირველი სამართალდარღვევა. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გამოირჩეოდა სანიმუშო ქცევით.

მისი, როგორც განსაკუთრებულად ნიჭიერი მსახიობის, პატიმრობა დიდი დანაკლისია შემოქმედებითი და განსაკუთრებით კი კინო სექტორისთვის, ასევე პროფესიული საქმიანობის შეფერხება უარყოფითად აისახება მისი პროფესიული უნარ-ჩვევების შენარჩუნებასა და მის მომავალზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები და დაგვეხმაროთ, გიორგი გიორგანაშვილი ვადაზე ადრე დაუბრუნდეს საზოგადოებას და საქმიანობას, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ქართული კულტურის განვითარებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ჯოხსვოხდი ↘



**შვეულად:** 1. მონღოლ დამპყრობელთა მომთაბარე ლაშქარი; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. მრავალხმიანობა მუსიკაში; 4 ცხარე საწებელი; 5. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. მკბენარა მწერი; 9. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვებში; 10. ქართველ მწერალ დესპინე გელოვანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. წყალსა და წებოში გაქნილი სახატავი საღებავი; 15. კანადის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. კინოფილმ „მანდარინების“ რეჟისორი; 6. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. ეკლესია-მონასტრებისთვის შემოწირულთა სარეგისტრაციო დავთარი ძველად; 13. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 14. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 16. ორნახშირმჟავა-ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 18. იტალიელი მოდელიერი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*